ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 12 მარტი, 2015 158 (6678) აფცბ5 №) სტსჰბ

ცესკო გრანტების სკანდალში ეხვევა

გურამ ადამაშვილი: „ცესკომ გრანტები კანონდარღვევით გასცა“

გვ.4

ღარიბაშვილის წინააღმდეგ პარლამენტში შეთქმულება მზადდება

გვ.3

ვინ უღალატებს პრემიერს

ღარიბაშვილი: უნდა დავივიწყოთ პირადი კომფორტი, ოფისების რემონტი, ახალი ავეჯი“

გვ.2

დავით ფერაძე: თამარ სანიკიძემ საღი აზროვნების უნარი დაკარგა“

გვ.4

რა ხდება 116-ე საჯარო სკოლაში?

ქართული ოცნება“ პრეზიდენტის დანიშნულ პარლამენტის სხდომას არ დაესწრება

დავით უსუფაშვილი: „ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოს, ბევრი მაქვს მაცივარში“

გვ.3

ISSN 1987-9385

ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი ნაციონალებს ხმას არ მისცემს“

ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილი ცდილობს დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსის დამკვიდრებას“

გვ.6

ღარიბაშვილი: „უნდა დავივიწყოთ პირადი კომფორტი, ოფისების რემონტი, ახალი ავეჯი“

პრემიერი გუბერნატორებს და გამგებლებს შეხვდა

ნათია ხურცილავა

გუშინ, 11 მარტს, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის გუბერნატორებსა და რეგიონის გამგებლებს შეხვდა. შეხვედრაზე იმყოფებოდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე.

რა იყო შეხვედრის მთავარი მიზეზი? რამდენად რეალურია, რომ პრემიერი უკმაყოფილოა ქვეყნის რეგიონებში მიმდინარე პროცესებით? გაექცა თუ არა მართვის სადავეები ცენტრალურ ხელისუფლებას რეგიონებში თუ რეალურად დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობს?

შეხვედრა „ქორთიარდ მარიოტში“ სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დახურულ კარს მიღმა, როგორც ითქვა, გულწრფელი საუბრებიც გაიმართა ირაკლი ღარიბაშვილსა და რამდენიმე გუბერნატორს შორის. შეხვედრას მინისტრთა კაბინეტის წევრებიც ესწრებოდნენ.

◆ ◆ ◆

ღარიბაშვილმა თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა. შესაბამისი მოწოდებით ღარიბაშვილმა ქალაქის მერებს, რაიონების გამგებლებსა და რეგიონების გუბერნატორებსაც მიმართა.

მთავრობის მეთაურმა შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ რიგ თემასთან დაკავშირებით თვითმმართველობის ხელმძღვანელების პოზიციების მოსმენა სურს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— მინდა მოგიწოდოთ ყველას, გააქტიუროთ საზოგადოებასთან ურთიერთობა. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ კონტაქტი მათთან. იმუშავეთ ხალხში, გადით ყველა რაიონში, აუხსენით ხალხს, რას ვაკეთებთ, ესაუბრეთ მიმდინარე პროექტებზე და გაუფრთხილდით ნდობას, რომელიც ხალხმა გამოგვიცხადა.

მე მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. ეს არის კარგი წამოწყება და ეს ტრადიცია უნდა დავამკვიდროთ.

◆ ◆ ◆

კრიტიკის მთავარი საგანი აუთვისებელი ბიუჯეტი და კომფორტისადმი ლტოლვა აღმოჩნდა.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— პროექტებზე წელს გამოყოფილი თანხების ათვისება ჯერ არ განხორციელებულა და ეს იყო ჩემი კრიტიკის საგანი. მინდა თქვენგან მოვისმინო მთავარი მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ის დაგვიანებები, თუ ჩავარდნები. ასევე მინდა თქვენთან ვისაუბრო ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების საკითხზე — ეკონომია უნდა გავაკეთოთ ადმინისტრაციულ შესყიდვებზე. უნდა დავივიწყოთ პირადი კომფორტი, ოფისების რემონტი, ახალი ავეჯი და ყველაფერი, გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა. წარმომადგენლობის ხარჯებზე 20%-ით, საწვავზე კი 30%-ით იქნება ხარჯი დაზოგილი. მაქსიმალურად თავი უნდა შევიკავოთ ძვირადღირებული მანქანების შეძენისგან, სამაგიეროდ, უნდა გავააქტიუროთ სოციალური პროექტები, მათ შორის ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური შემწეობების მიმართულებით.

◆ ◆ ◆

პრემიერი კონკურსებსა და ტესტირების შედეგებსაც შეეხო.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— წელს პირველად თვითმმართველობის ორგანოებში ჩატარდა ტესტირება და მოხდა თანამშრომელთა საკონკურსო წესით შერჩევა. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემა, ამაზე მინდა თქვენგან მოვისმინო ინფორმაცია და ზოგადად, თუკი არის რაიმე პრობლემა, გთხოვთ, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღრიცხოთ და გამოასწოროთ.

◆ ◆ ◆

მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი ეკონომიკურ გუნდთან აპირებს, მომავალი კვირიდან დაიწყოს რეგიონში გასვლითი ღონისძიებები. პრემიერის განცხადებით, პირველი შეხვედრა გაიმართება სამცხე-ჯავახეთში.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— შემდეგ პირადად ჩავალ ყველა რეგიონში ამ პროგრამის მაქსიმალურად დასაჩქარებლად. ჩვენ ვიქნებით დაუნდობელი კორუფციის მიმართ. დღევანდელი მთავრობა არის მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული მთავრობა. მსოფლიოში ამ კუთხით მე-11 ადგილზე ვართ. ჩვენ კორუფციის არაერთი მაგალითი გამოვავლინეთ, თუმცა ეს არ არის სისტემური. მადლობა ღმერთს, რომ ამის ბევრი ფაქტი არ დაფიქსირებულა. მაგრამ მე მინდა ყველამ იცოდეს, ვინც არ უნდა იყოს ის, არავინ დგას კანონზე მაღლა. ნებისმიერი კანონდარღვევა დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი და ყველა პირი, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, აუცილებლად დაისჯება.

◆ ◆ ◆

პრემიერმა გუბერნატორებს პირობა მისცა, რომ პირად კონტროლზე აიყვანს თითოეულ პროექტსა და სამუშაოს მიმდინარეობას.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— თქვენთან ერთად მინდა განვიხილო ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე ამ პროექტების ბიუჯეტის ათვისების საკითხები, დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, პროექტების სწრაფად განხორციელების საკითხები, პროექტირება, სამუშაოების შესრულება, დაგვიანებული და გრძელი პროცედურები, ექსპერტიზები, ტენდერების ჩავარდნები, კომპანიების არასწორი შერჩევა და პროექტების და სამუშაოს ცუდი ხარისხი, ვადების დარღვევა, უმოქმედობა, პასუხისმგებლობის არ აღება, პრობლემები ტენდერების გამოცხადების ეტაპზე. ჩემი ინფორმაციით, ამ მიმართულებით არის ხარვეზები და ეს უნდა გამოვასწოროთ ერთად.

ირაკლი ღარიბაშვილი:

— საჭიროების შემთხვევაში, თქვენ გაქვთ სრული უფლება, გამარტივებული ერთკვირიანი ელექტრონული ტენდერები გამოაცხადოთ, ან პირდაპირი შესყიდვის ნებართვა ითხოვოთ.

◆ ◆ ◆

გუბერნატორებთან შეხვედრას მინისტრთა კაბინეტის წევრებიც ესწრებოდნენ.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ადგილობრივი მთავრობისა და ცენტრალური ხელისუფლების შეხვედრა მნიშვნელოვანია, რომ გაირკვეს, თუ რა ვითარებაა რეგიონებში.

ნოდარ ხადური:

— ვფიქრობ, მნიშვნელოვანი შეხვედრაა დღეს. ჩვენ, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მთავრობა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები გავუცვლით ერთმანეთს შეხედულებებს. ვნახავთ, თუ რა ვითარებაა ადგილზე ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით.

ნინო გვენეტაძე უმრავლესობასთან შეხვედრისთვის ემზადება

გულიკო ბალაძე

მომავალ ორშაბათს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ნინო გვენეტაძე პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შეხვდება.

— ორშაბათს დანიშნულია შეხვედრა „ქართული ოცნების“ წევრებთან. ყველაზე მეტი პოლიტიკური მოლოდინი ამ ფრაქციასთან შეხვედრაზე მაქვს, რადგან მათ ჰქონდათ კითხვები, — განაცხადა ნინო გვენეტაძემ „კვირის“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

— ქალბატონო ნინო, ამჯერად პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში ხართ მიწვეული. ზოგადად რა განწყობაა და როგორ მიმდინარეობს შეხვედრები?

— მომავალ კვირაში პარლამენტის ბიურო დააზუსტებს კენჭისყრის თარიღს. ამიტომ გააქტიურდა შეხვედრები იმ კომიტეტებსა და ფრაქციებში, რომლებსაც ჯერ არ შევხვედრივარ. დეპუტატები მოისმენენ იმ მოსაზრებებს და პოზიციებს, რომელიც მე გამაჩნია მართლმსაჯულების სისტემის თაობაზე, იმ პროგრამებსა და იმ მიზნებს, რაც მე მაქვს დასახული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დამტკიცების შემთხვევაში სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

— რა კითხვებს გისვამენ ყველაზე ხშირად და რა პრობლემები შეიქმნა თქვენი კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებით?

— არის რამდენიმე სტანდარტული კითხვა, რომელიც შეეხება ჩემს წარსულ საქმიანობას, ჩემს სასამართლო სისტემაში მოღვაწეობის პერიოდს, ასევე ჩემი პოლიტიკური კუთვნილების პრობლემას, შევძლებ თუ არა, პოლიტიკურად ნეიტრალური ვიყო. ასევე შეეხებოდა იმ საქმეებს, რომლებიც ე.წ. „60 წუთის“ გადაცემაში და შემდეგ „რუსთავი-2-მა“ გააშუქა, რომლებზეც მე პრესითაც და დეპუტატებთანაც ამომწურავი დასაბუთებით ვისაუბრე, საზოგადოებას ავუხსენი მათ მიერ ხშირად არასწორად წამოყენებული ბრალდებები ჩვენს სამოსამართლეო საქმიანობასთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირი კითხვაა ასევე, თუ როგორ ვხედავ მართლმსაჯულების პროცესს, ანუ რა შეიძლება სასამართლომ იტვირთოს. ყველაზე საინტერესოა საკითხი, რომელიც შეეხება მთავარ პროკურატურაში დეპარტამენტის შექმნას, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულობებს, სამართლებრივი დევნის პროცედურებს, როგორი ეფექტური იქნება სასამართლო ამ პროცესის დასაძლევად. არის კიდევ სპეციფიკური კითხვები სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირად კითხვას სვამენ მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის დაწესების თაობაზე. საკონსტიტუციო ჩანაწერით და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, მოსამართლეები უვადოდ განმწესდებიან, მაგრამ გასავლელია სამწლიანი გამოსაცდელი ანუ საპრობაციო ვადა. არასამთავრობო და უფლებადამცველ ორგანიზაციებს ამ საკითხზე ხშირად აქვთ კითხვები.

— თქვენ რა პოზიცია გაქვთ მოსამართლეების გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით?

— რადგან ჩვენ გვაქვს მოცემულობა — კანონში დაწვრილებითაა გაწერილი, რა როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეთა სამწლიან ვადასთან დაკავშირებით, ცხადია, ვიმოქმედებ კანონის შესაბამისად.

შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ირაკლი ბ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული 1,7345 გრ ნარკოტიკი 0,6734 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ დაკავებისას ირაკლი ბ. ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

ქართული ოცნება“ პრეზიდენტის დანიშნულ პარლამენტის სხდომას არ დაესწრება

დავით უსუფაშვილი: „ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოს, ბევრი მაქვს მაცივარში“

შორენა მარსაგიშვილი

ხვალ, 13 მარტს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა უნდა გაიმართოს. ეს სხდომა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ნაციონალების მოთხოვნით დანიშნა. მისმა გადაწყვეტილებამ საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი გააღიზიანა.

უმრავლესობის განცხადებით, პრეზიდენტი ნაცმოძრაობის ინტერესებს ატარებს. თავად ნაციონალებს კი ისტერიკის მოწყობა სურთ. ამის გამო უმრავლესობა რიგგარეშე სხდომას არ დაესწრება. სხდომაზე მისვლას არც მინისტრები აპირებენ. ლარის კურსზე კი ისინი დღეს, 12 მარტს დაგეგმილ საკომიტეტო მოსმენაზე იმსჯელებენ.

კოლეგებისგან განსხვავებით, დავით უსუფაშვილს არ სჯერა, რომ გიორგი მარგველაშვილი ვინმეს ანკესს წამოეგო.

— მარგველაშვილი კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებს და რიგგარეშე სხდომას ნიშნავს, მაგრამ მიზანშეწონილობაზე შეიძლება იყოს განსხვავებული აზრი, — აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

უსუფაშვილი რიგგარეშე სხდომის მოწვევით დიდად აღფრთოვანებული არ არის, მაგრამ ვერც უმრავლესობის წევრების პოზიციას იზიარებს. 10 მარტს უმრავლესობას პრეზიდენტთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, მაგრამ რაკი მან სხდომა დანიშნა, დეპუტატები გაიბუტნენ.

უსუფაშვილისთვის დეპუტატების ასეთი საქციელი გაუგებარი და მიუღებელია. მისი თქმით, პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა ნაწყენობაზე, გაბრაზებაზე, გაბუტვაზე და ა.შ. „აცრა უნდა გაიკეთონ.“

— ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოს, ბევრი მაქვს მაცივარში, მობრძანდნენ ყველა მხრიდან. ჩვენ ყოველდღიურად განსახილველი გვაქვს უამრავი საკითხი. კონკრეტულ საკითხში უმრავლესობის წევრთა მოსაზრება პრეზიდენტის მოსაზრებისგან განსხვავებულია. ამ განსხვავებულობის აგკარგიანობისა და სისწორის შემფასებელი მოსახლეობაა. არ მგონია, რომ პრეზიდენტი ვინმეს ანკესს წამოეგო. ის თავისი პასუხისმგებლობით და გადაწყვეტილებებით მოქმედებს. პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც, მთავრობის წევრიც და ოპოზიციაც ცდებიან ხანდახან. შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ვინმეს ანკესზე წამოგებას. ვინც ნაწყენია, ცივი წყალი დალიოს, ბევრი მაქვს მაცივარში, მობრძანდნენ. პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა უნდა გაიკეთონ აცრა ნაწყენობაზე, გაბრაზებაზე, გაბუტვაზე და ამ ტიპის კატეგორიებზე, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

ნაციონალების ინიციატივას რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით ის პოლიტიკურ სპეკულაციად აფასებს.

— საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის განკარგულების თანახმად, 13 მარტს მოწვეულია პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. მინდა განვაცხადო, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტია და ამისი სწორად გამოყენება და გააზრებაა აუცილებელია, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სპიკერის განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობის მოქმედებების მხრიდან აშკარად ირკვევა, რომ მათი მთავარი ამოცანაა, არა თავისთავად შემოთავაზებული საკითხის განხილვა და ლარის კურსის გამყარებისთვის ზრუნვა, არამედ რიგგარეშე, საგანგებო, საგანგაშო რეჟიმში საკითხის განხილვა, საკითხის განხილვაში პრეზიდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ საკითხით, რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში მედია სივრცის გაჯერება.

— ეს სამი მთავარი დასკვნა ძალიან კონკრეტულ ფაქტებს ემყარება და ეს ფაქტები სხვა ვერაფრით აიხსნება, თუ არა უმცირესობის აღნიშნული სვლით — იყოს საგანგაშო მდგომარეობა, პრეზიდენტი ჩაერთოს ამ საგანგაშო ამბებში და რაც შეიძლება დიდხანს ვილაპარაკოთ განგაშზე და უბედურებაზე, — აცხადებს უსუფაშვილი.

ის დარწმუნებულია, რომ ნაციონალებს მხოლოდ ხმაურის ატეხვა სურთ, რადგან ამ საკითხებზე ყურადღება მათ არც ერთ პლენარულ სხდომაზე არ გაუმახვილებიათ.

მეტი დამაჯერებლობისათვის სპიკერმა ფაქტებიც წარმოადგინა.

დავით უსუფაშვილი:

— ფაქტი პირველი — პარლამენტის პლენარული სხდომები მიმდინარეობდა 16-21 თებერვლის კვირის განმავლობაში მორიგი სხდომების რეჟიმში. აღნიშნული საკითხი მორიგი სხდომების დღის წესრიგში შესატანად ამ კვირის განმავლობაში პარლამენტში არავის დაუსვამს. საკითხის დასმა შეეძლოთ ბიუროს სხდომაზეც და პარლამენტის სხდომაზეც. დასრულდა თუ არა სხდომების კვირა, უმცირესობამ პრეზიდენტს მიმართა რიგგარეშე სხდომის დანიშვნის მოთხოვნით.

შემდეგი ფაქტი — 28 თებერვალს დანიშნული რიგგარეშე სხდომა ვერ შედგა, სამაგიეროდ, სხდომები შედგა მომდევნო კვირაში. 2-7 მარტის განმავლობაში პარლამენტი მორიგი პლენარული სხდომების რეჟიმში მუშაობდა. სხდომებზე ეს საკითხი კვლავ არავის დაუსვამს განსახილველად. სხდომების კვირა დასრულდა თუ არა, მეორე დღეს მათ ლაპარაკი დაიწყეს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით განცხადება უნდა შეეტანათ. ამასობაში ცნობილი იყო, რომ საკომიტეტო რეჟიმში საკითხის განხილვა მოხდებოდა.

მესამე ფაქტი — პარლამენტის 42-მა წევრმა ნაცმოძრაობიდან პრეზიდენტს მიმართა, რიგგარეშე სხდომა მოეწვია, რომელზეც განხილული იქნებოდა ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის გზები. რიგგარეშე სხდომა თავისი არსით არაფრით განსხვავდება სხვა სხდომებისგან გარდა იმისა, რომ მას აქვს ფიქსირებული დღის წესრიგი, მაგრამ ფიქსირებულ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იყოს საკითხი, რომლის განხილვაც შესაძლებელია. თუმცა, ასე არ მომხდარა.

სპიკერის განმარტებით, მარგველაშვილი შეეცადა, გაეკეთილშობილებინა ნაცმოძრაობის მიერ ინიცირებული საკითხი.

უსუფაშვილის განმარტებით, საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის წესდება კარგად იცის. ის ნაციონალებს სთხოვს, კონსტიტუციურ უფლებებს საკუთარი მიზნების გამო ნუ გამოიყენებენ.

— რასთან გვაქვს საქმე, ჩვენი ოპონენტების არაკომპეტენტურობასთან? რა თქმა უნდა, არა. ნაცმოძრაობას შეიძლება ბევრი რამ დავწამოთ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საპარლამენტო წესრიგი არ იციან. ერთადერთი ახსნა რჩება — მათი ამოცანაა მხოლოდ ხმაური, მხოლოდ საგანგაშო რეჟიმის შექმნა და მეტი არაფერი. სხვა შემთხვევაში, მათ ძალიან კარგად იციან, როგორ ხდება რიგგარეშე სხდომის მოწვევა და ეს იცის პრეზიდენტმაც.

შესაბამისად, ჩვენ, პარლამენტმა, ჩვენი კონსტიტუციური უფლება უნდა დავიცვათ და არავის უნდა მივცეთ საშუალება, არც უმცირესობას, არც მთავრობასა და არც პარლამენტის თავმჯდომარეს (მხოლოდ ამ სამ სუბიექტს აქვს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება), რომ კონსტიტუციური მექანიზმები ისე იყოს გამოყენებული, როგორც აწყობთ, — ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისი განმარტებით, უმრავლესობა ნაცმოძრაობას ხმაურის შექმნაში არ აჰყვება და ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის საკითხს დეპუტატები საკომიტეტო მოსმენაზე განიხილავენ.

— ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, რასაც ოპოზიცია იჩენს, არის ოპოზიციის უფლება, ამაში ვერავინ შეზღუდავს, მაგრამ ამასთან, ოპოზიციიდან ჩვენს კოლეგებს მივმართავ, ნუ გაუკვირდებათ, თუ უმრავლესობა სწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს და არ ჩაერევა ამ უსაფუძვლო ხმაურში, რომელიც არის ხმაური ხმაურისთვის, რაც ყველაზე უფრო მეტად დამაზარალებელია სწორედ ლარის კურსისთვის. ჩვენ საქმიან რეჟიმში ამ საკითხების განხილვისთვის მზად ვართ, ხვალ ამ საკითხზე საკომიტეტო მოსმენები ჩატარდება, მაგრამ პოლიტიკურ ოპონენტებს ამ საგანგებო ვითარების დამკვიდრების მცდელობაში ვერ ავყვებით, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

◆ ◆ ◆

უსუფაშვილის განცხადებას მისი წინამორბედი დავით ბაქრაძეც გამოეხმაურა. ნასპიკერალმა მოქმედ სპიკერს ტონი დაუწუნა.

— ოპოზიციაზე საუბრის დროს უსუფაშვილმა აირჩია ჩემთვის მიუღებელი ტონალობა, როდესაც თქვა, რომ ოპოზიცია არის უსაქმური და უპასუხისმგებლო. ვწუხვარ, რომ მან ამ ტონალობაში საუბარი გადაწყვიტა.

არ ვაპირებ იმავე ტონალობაში პასუხს, თუმცა ნამდვილად ბევრი შემეძლო მესაუბრა სწორედ ხელისუფლების უსაქმურობასა და უპასუხისმგებლობაზე, მაგრამ ჩვენი ამოცანა არ არის პიროვნული დაპირისპირება, ჩვენი ამოცანი არის საქმის გაკეთება და კონკრეტული გამოსავლის მოძებნა იმ პრობლემიდან, რომელიც დღეს აწუხებს მოსახლეობას. უპასუხისმგებლობა არის არა ის, როდესაც ითხოვ პარლამენტის მოწვევას, რომ იმსჯელო მოსახლეობისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხზე, არამედ ის, როდესაც თავს არიდებ სხდომაზე მისვლას და ემალები ხალხის პრობლემას□, — განაცხადა ბაქრაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა უმრავლესობას და მთავრობასაც მიმართა და მათ პარასკევს ჩანიშნულ რიგგარეშე სხდომაზე დასწრებისკენ მოუწოდა.

— მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას და მთავრობას, გამოიჩინეთ პასუხისმგებლობა და მობრძანდით სხდომაზე და ჩვენ მზად ვართ, ძალიან საქმიან, მშიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში მოვუსმინოთ აქვს თუ არა მთავრობას რაიმე გეგმა ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად□, — განცხადა ბაქრაძემ.

ღარიბაშვილის წინააღმდეგ პარლამენტში შეთქმულება მზადდება

ვინ უღალატებს პრემიერს

შორენა მარსაგიშვილი

ახლო მომავალში შესაძლოა პარლამენტში მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხზე ნაციონალები და თავისუფალი დემოკრატები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამ თემაზე საუბარი ირაკლი ალასანიას განცხადებას მოჰყვა.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა არ გამორიცხა, რომ უუნარო მთავრობის გადასაყენებლად ისინი ნაციონალებთან ითანამშრომლებენ. ამ თანამშრომლობაზე ყოფილი ხელისუფლებაც თანახმაა. მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხიც დასმული ექნებოდათ, მაგრამ საჭირო ხმებს ვერ აგროვებენ.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ნაციონალებს და თავისუფალ დემოკრატებს მთავრობის გადასაყენებლად 18 ხმა აკლდებოდათ. გავრცელებული ინფორმაციით, ალასანიას ხალხი პარლამენტში აქტიურად ეძებდა მხარდამჭერებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათი გააქტიურება უმრავლესობაში მომხდარ განხეთქილებას დაემთხვა. 20-ზე მეტმა დეპუტატმა უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის წინააღმდეგ გაილაშქრა.

საგანელიძის მოწინააღმდეგეები უმრავლესობის ლიდერს კვლავ უპირისპირდებიან, თუმცა მთავრობის გადაყენებას არ უჭერენ მხარს. ამის გარდა, ისინი ნაციონალებთან ყოველგვარ თანამშრომლობას გამორიცხავენ.

— ჩვენს რიგებში უთანხმოება არის, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგ არ მივდივართ. არც ნაციონალებთან ვაპირებთ თანამშრომლობას. მაგათ გამარჯობასაც კი არ ვეუბნები, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში უმრავლესობის დეპუტატმა ომარ ნიშნიანიძემ.

ეტყობა, თავისუფალმა დემოკრატებმა და ნაციონალებმა კარგად იმუშავეს, რადგანაც, ექსპერტ მამუკა არეშიძის მტკიცებით, 3 დეპუტატის გადაბირება უკვე მოახერხეს.

— ახლა მთავრობის გადასაყენებლად მხოლოდ 15 ხმა აკლდებათ. ახლა ,,ჩალიჩობენ“ რომ 15 ხმა მოიპოვონ და მიდის დეპუტატების გადმობირება. არ ვიცი, კონკრეტულად კოალიცია ,,ქართული ოცნებიდან“ ვინ უღალატებს ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ დაგიდასტურებთ იმას, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმ ხალხთან, რომელნიც არიან სხვადასხვა ფრაქციაში კოალიციიდან, — განაცხადა არეშიძემ ,,ალიასთან“ ინტერვიუში.

გადაბირების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მეოცნებეები არ ადასტურებენ. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მოლაპარაკებები მართლაც მიდიოდეს.

ამ მხრივ მთავარი ეჭვმიტანილები რესპუბლიკელები არიან. მათ არაერთხელ განუცხადებიათ, რომ თავისუფალ დემოკრატებთან თემატურად ითანამშრომლებენ. ამ შემთხვევაში თანამშრომლობა არ გამოვა. ამ ეტაპზე რესპუბლიკელები მთავრობის გადაყენებას მხარს არ უჭერენ.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ნაციონალები იმ მაჟორიტარებს „ამუშავებენ“, რომლებმაც საპარლამენტო უმრავლესობა დაშლისგან იხსნეს. ყველა მათგანი ყოფილი ნაციონალია და მათზე ყოფილ ხელისუფლებას კომპრომატები ოხრად აქვს. უმრავლესობაში სწორედ მათგან ელოდებიან ღალატს.

შსს-მ თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა

თბილისის და ანკარას ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის მიერ ძებნილი, 1982 წელს დაბადებული, თურქეთის მოქალაქე ჯემალ ი. ქობულეთის რაიონში დააკავეს.

დაკავებული 2013 წლის 2 მაისიდან იძებნება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისათვის. ჯემალ ი-ს თურქეთის რესპუბლიკის უნიეს რაიონული სისხლის სამართლის საქმეთა მძიმე დანაშაულის სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს 17 წლისა და 25 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ჯემალ ი-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციისთვის შესაბამისი პროცედურები მიმდინარეობს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

დავით ფერაძე: თამარ სანიკიძემ საღი აზროვნების უნარი დაკარგა“

რა ხდება 116-ე საჯარო სკოლაში?

შორენა გონგლაძე

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელ დავით ფერაძეს განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან სერიოზული პრეტენზიები გააჩნია. დავით ფერაძე „ახალ თაობას“ ესაუბრა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში შეიქმნა.

— ბატონო დავით, თქვენ განათლების სამინისტროს და პირადად მინისტრს სხვადასხვა პრეტენზიებს უყენებთ, ბოლო დროს სანიკიძე თქვენ მიმართ ზეწოლაშიც დაადანაშაულეთ. რა პრეტენზიები გაქვთ სანიკიძის მიმართ?

— დიახ, ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სამინისტრო, სამწუხაროდ, უკვე მარაზმამდეა ეს დევნა მისული. მინისტრმა სანიკიძემ საერთოდ დაკარგა საღი აზროვნების უნარი. სანიკიძე უკვე გაკოტრებული რომ არის, ამას რამდენი თვეა ვამბობ. სანიკიძისადმი უკმაყოფილება თავად სამინისტროში პიკს უახლოვდება, განსაკუთრებით მათი, ვისაც ფინანსურად არ წყალობს. მაგრამ არიან კმაყოფილებიც, რომლებიც საკუთარი წარსული თუ ახლანდელი საქმიანობის გამო არიან „დავერბოვკებული“. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ონოფრიშვილი კეზერაშვილთან მაღალ თანამდებობაზე იმყოფებოდა. ჩემი ინფორმაციით, ეს ბატონი შევარდნაძის დროინდელი უშიშროების სამსახურის თანამშრომელიც იყო. ონოფრიშვილს პრემიებით და დანამატებით ხომ წყალობს სანიკიძე. ამის გარდა, „ქარვასლაში“ მოწილეც გახლავთ და ფეშენებელური სასახლის მფლობელიც კავთისხევში.

— თქვენ მიმართ როგორ იყენებს სანიკიძე ონოფრიშვილს?

— მინისტრს არ აქვს პედაგოგზე ზემოქმედების სამართლებრივი ბერკეტი. როდესაც პარლამენტში ინიციატივით შევიდნენ, რომ მინისტრს მისცემოდა უფლება ერთპიროვნულად შეეწყვიტა პედაგოგისთვის უფლებამოსილება, ამ ინიციატივის „შთაგონების წყარო“ მე ვიყავი, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩავუგდეთ. მერე ახალი სანქციები დააკანონა. ვერც ეს გამოიყენა ჩემ წინააღმდეგ. ამიტომ, დარჩა ერთადერთი — მანიპულირება დირექტორით.

116-ე საჯარო სკოლის ამჟამინდელი დირექტორით ვერ მანიპულირებს, სწორედ ამიტომ უნდა მისი გათავისუფლება, მაგრამ ვერ მოიფიქრა მექანიზმი, როგორ გაუშვას. ჯერ დირექტორთა არჩევნების დროს დაბლოკა, მაგრამ სასამართლომ მინისტრს აუკრძალა ახალი დირექტორის დანიშვნა. მერე შეთითხნეს ყალბი წერილი, არარსებული პიროვნების ხელმოწერით, რომელიც თითქოსდა 116-ე საჯარო სკოლის ფინანსურ მონიტორინგს ითხოვდა. ამ და სხვა სიყალბის გამო დირექტორმა ონოფრიშვილის უწყებასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა. ახლა წერილობითი გაფრთხილება მისცეს და დაავალეს ონოფრიშვილთან თანამშრომლობა. თუ გაფრთხილებას არ გაითვალისწინებს, მინისტრი გამოიყენებს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებას. როგორც ვიცი, სკოლის დირექტორი ამ გაფრთხილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს. ამის გარდა, სკოლაში არის მზადყოფნა, რომ სანიკიძის ძალისმიერ მეთოდს დაუმორჩილებლობით უპასუხონ.

— რა ძალისმიერი მეთოდი იგულისხმება სანიკიძის მხრიდან?

— სანიკიძე სამართლებრივად ჩემთანაც და 116-ე სკოლის დირექტორთანაც ტყუის. შესაბამისად, ისღა დარჩენია, მიმართოს უკანონო და ძალისმიერ მეთოდს. ანუ პირდაპირ დაწეროს მოქმედი დირექტორის გათავისუფლების ბრძანება — აი, ესაა ძალისმიერი მეთოდი. წესით, ასეთ სისულელეზე არ უნდა წავიდეს, მაგრამ ისეა გაბოროტებული ჩემზე, სად აზროვნებას ნელნელა კარგავს.

— მაინც რატომ ფიქრობთ, რომ სანიკიძე თქვენ წინააღმდეგ ბრძოლაში არის გადართული?

— ვიცი, ვის იბარებს, ვის ხვდება, ვისთან თათბირობს სანიკიძე, რომ როგორმე მომაშოროს განათლების სისტემას. თქვენ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რა შუაშია ფერაძეო. ძალიან უნდა სანიკიძეს, რომ მისი ჩემდამი ბრძოლა მიიჩქმალოს, რომ ვითომ აინუნშიც არ მაგდებს, არც კი მიცნობს, მაგრამ არ გამოსდის. ძალიან უნდა სანიკიძეს, რომ არ არსებობდეს ბუნებაში მინისტრისა და პედაგოგის კონფლიქტი, მაგრამ ეს მისი ბრალია. მან ვერ მომინელა 2012 წლის მერე.

— მაშინ რა მოხდა?

— თანამშრომლობას ვთავაზობდით, მერე მოახერხეს ამ ხალხის გაჩუმება. ეს შეთავაზებაც ვერ აიტანა. როგორ, ვიღაც რიგითმა პედაგოგმა რა უნდა მირჩიოსო — ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში პედაგოგებთან შეხვედრაზე მეუბნება, თქვენ რატომ ლაპარაკობთ პედაგოგების სახელითო. მაშინ მივხვდი, რა პრობლემატური და ამბიციური ადამიანი იდგა ჩემ წინ და მეც ვუპასუხე, როგორ, მე, პედაგოგს, არ მაქვს უფლება პედაგოგების სახელით ლაპარაკის და თქვენ, ბუღალტერს, განათლების მინისტრობის უფლება გაქვთ-მეთქი?! ამ კამათს ესწრებოდნენ მედია და პრეზიდენტობის მაშინდელი კანდიდატი მარგველაშვილი. ამის მერე გაცოფებული დადიოდა სანიკიძე და ფერაძე მომაშორეთო, ყოველდღე იძახდა. მაგრამ მაშინ მარგველაშვილმა შეაჩერა, არ დაგავიწყდეს, რომ ხელისუფლებაში ხარ და თმენის ვალდებულება გაქვსო. თუ ფერაძეს გავუშვებთ, მაშინ ნაცების ხელისუფლებაზე უკეთესი როგორ ვართო.

116-ე საჯარო სკოლის დირექტორი მეჭურჭლიშვილი და სანიკიძე ერთმანეთს შეხვდნენ. არ ვიცი შეხვედრის დეტალები იმიტომ, რომ იმის მერე მეჭურჭლიშვილი სულ რაღაც საქმითაა დაკავებული და ვერ ვნახე სასაუბრო დრო, მაგრამ, თუ ლოგიკას მოვუხმობთ, გამოდის, რომ ამ შეხვედრამ კიდევ უფრო გააცეცხლა ქალბატონი სანიკიძე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეჭურჭლიშვილი ინტელექტუალობითა და აზროვნების ხარისხით დაჩრდილავდა სანიკიძეს, და მეორეც, როგორც ჩანს, მეჭურჭლიშვილი ჩემ წინააღმდეგ გარიგებაზე არ წავიდა. ვიმეორებ, ეს მხოლოდ ვარაუდია და შემდეგ მომხდარი მოვლენებით ვვარაუდობ ასე. სწორედ ამ შეხვედრის მერე ფეხდაფეხ მოაყოლა მეჭურჭლიშვილს ზემოხსენებული წერილობითი სანქცია.

116-ე სკოლაში თითქმის ყოველდღე სტრესული სიტუაციაა. ყოველ კვირას სამინისტროს შემოთავაზებული სიურპრიზით ვიწყებთ. მქონდა მინიშნებები პირად ფიზიკურ ანგარიშსწორებაზეც, შავი პიარის აგორების შესაძლებლობაზეც, მაგრამ ვიცი, რომ ამას ვერ გაბედავენ, თუმცა, რომც გაბედონ, მოტივაციისთვის უფრო გამომადგება.

ცესკო გრანტების სკანდალში ეხვევა

გურამ ადამაშვილი: „ცესკომ გრანტები კანონდარღვევით გასცა“

გულიკო ბალაძე

მოძიებულია სკანდალური დოკუმენტები, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტსა და ნაციონალური მოძრაობის წევრებთან ცესკოს ფარულ გარიგებებს ასახავს.

ეს დოკუმენტები „კვირაში“ საზოგადოებას გურამ ადამაშვილმა გააცნო.

გურამ ადამაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციას“ წარმოადგენს,

რომელიც სამოქალაქო სექტორის მონიტორინგს ახორციელებს.

გურამ ადამაშვილი:

— 2010 წლიდან 2014 წლამდე ცესკო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე საკონკურსო გრანტებს კანონდარღვევით გასცემდა. 16 ასეთი ფაქტი გამოვლინდა.

ბ-მა ადამაშვილმა ჩამოთვალა თითოეული მათგანის სახელები და გვარები და გაასაჯაროვა ის დოკუმენტები, რომლებიც „მიუთითებს მათ საქმიანობაზე არასამთავრობო სექტორში და პარალელურ რეჟიმში დღემდე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობაზე.“

◆ ◆ ◆

ზურაბ ლუაშვილი დღემდე მუშაობს ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრში სერთიფიცირებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსად. მას დაარსებული აქვს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია. 1. „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“; 2. „სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი“.

მის არასამთავრობო ორგანიზაციებში პარალელურ რეჟიმში მუშაობენ გიორგი დიდიძე და სერგო გვეხიძე.

სერგო დიდიძეს ასევე პარალელურად დაარსებული აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „საარჩევნო სისტემების კვლევითი ცენტრი“. ეს ადამიანი გახლავთ ნაციონალური მოძრაობის წევრი, რომელიც 2013 წლამდე მუშაობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, რეფორმებისა და ინოვაციის დეპარტამენტის უფროსად; იყო კომისიის მდივანი. ასევე იყო ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერი; სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრის ტრენერი.

სერგო გვეხიძე — პარალელურად მუშაობს რეგიონული განვითარების სამინისტროში.

ლუაშვილის ორგანიზაციებს 2012 წელს გრანტის სახით მიღებული აქვს 437.165 ლარი.

ირაკლი ებანოიძე — ნაციონალური მოძრაობის წევრი, ზურაბ ლუაშვილის ორგანიზაციაში არის პროექტების მონაწილე, რომელსაც პარალელურად დაარსებული აქვს ორგანიზაცია „მომავლის არჩევანი“, რომელსაც 2014 წელს ორი პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 61.750 ლარი.

ზურაბ ხრიკაძე — დღემდე მუშაობს ცესკოში და არის გადაწყვეტილებების მიმღები პირი პროექტების დაფინანსებაზე. შექმნილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნიუსი-საქართველო“, რომელსაც გრანტის სახით მიღებული აქვს 59.997 ლარი.

გიორგი შარაბიძე — დღემდე მუშაობს ცესკოს თავმჯდომარის მოადგილედ. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „განვითარების დემოკრატიის ცენტრი“ და 3 პროექტის ფარგლებში 2013-2014 წლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 132.355 ლარი.

ანა თარხნიშვილი — ნაციონალური მოძრაობის წევრი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის ცოლი. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „ბი-სი-ჯი კვლევა“, რომელსაც გრანტის სახით მიღებული აქვს 59.200 ლარი.

ბესიკ დონაძე — ისნის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე (ინტერესთა კონფლიქტია). დაარსებული აქვს ორგანიზაცია „დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება“.

ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან:

ლაშა მელაძე, რომელიც 2014 წლამდე იყო საბურთალოს რაიონის გამგეობაში სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი: დავით ჯინჯოლავა, რომელიც დღესაც პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის მთავარი სპეციალისტია; ზურაბ ლუაშვილი — ცესკოს სერთიფიცირებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.

ნანა ბღარაშვილი — სასჯელაღსრულების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი. მის არასამთავრობო ორგანიზაციას 2012 წელს ორი პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 59.800 ლარი.

ნანა ბღარაშვილი ნაცმოძრაობის წევრი და საავაშვილის კანდიდატია ცესკოს წევრობის თანამდებობაზე, დღემდე მუშაობს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „სამოქალაქო ინიციატივა სამართლებრივი არჩევნები“, რომელსაც 2013 წელს ორი პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 69.923 ლარი.

თეა თუთბერიძე — ნაციონალური მოძრაობის წევრი (ყოფილი დეპუტატი ნაციონალებიდან ზურაბ ხარატიშვილი, ამ ორგანიზაციამ წარადგინა ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატად). თუთბერიძეს დაარსებული აქვს ორგანიზაცია „ფონდი ალპე“, რომელსაც 2013 წელს გრანტის სახით მიღებული აქვს 24.140 ლარი.

გიგა ნასარიძე — ნაციონალური მოძრაობის წევრი. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „ახალი ხედვა საქართველო“, რომელსაც 2011-2012 წლებში სამი პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 124.525 ლარი.

შმაგი ჩოხელი — ნაციონალური მოძრაობის წევრი (შს მინისტრის ყოფილი მოადგილის ამირან მესხელის ძმა). მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „დემოკრატ მესხთა კავშირი“, რომელსაც 2014 წელს გრანტის სახით მიღებული აქვს 50.970 ლარი.

თამარ კინწურაშვილი — ნაციონალური მოძრაობის წევრი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორი (რომელიც ლევან თარხნიშვილმა წარადგინა); საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას მოადგილე, გამგეობის წევრი.

ხათუნა კვესელავას, რომელიც პარალელურად მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, დაარსებული აქვს ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდი“, რომელსაც ორი პროექტის ფარგლებში 2014 წელს გრანტი სახით მიღებული აქვს 101.165 ლარი.

ლევან გაბრიჩიძე — ნაციონალური მოძრაობის წევრი (პაატა დავითაიას პარტიის წევრი). დაარსებული აქვს ორი ორგანიზაცია. 1. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ 2. „ევროპულ დემოკრატიული ცენტრი“, რომელსაც 2013 წელს 4 პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 95.101 ლარი.

ლეილა სულეიმანოვა — ნაციონალური მოძრაობის წევრი. დაარსებული აქვს ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“, რომელსაც სამი პროექტის ფარგლებში 2014 წელს გრანტის სახით მიღებული აქვს 69.843 ლარი.

ლაშა ფარულავა — ნაციონალური მოძრაობის წევრი, დაარსებული აქვს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი“ რომელსაც 2014 წელს ორი პროექტის ფარგლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 52.900 ლარი.

ვლადიმერ მენაბდე — ნაციონალური მოძრაობის წევრი. გაზეთ „გურიის მოამბის“ რედაქტორი, დაარსებული აქვს ორგანიზაცია „სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო“, რომელსაც მიღებული აქვს 21.910 ლარი.

— ბატონო გურამ, ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— ეს არის საჯარო ინფორმაცია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოითხოვოს ცესკოს მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების სია.

ჩემთვის ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ადამიანებს, რომლებიც დღემდე მუშაობენ ცესკოში და გრანტის გამცემი უფლებამოსილი პირები არიან, პარალელურ რეჟიმში შექმნილი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციები და მათზე გასცემენ სახელმწიფო გრანტებს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გიგა ბუკია: ნაცმოძრაობა რომ იყოს ხელისუფლებაში, საქართველო უკრაინასავით ცეცხლში იქნებოდა გახვეული“

„სავალუტო დეფიციტის აღმოსაფხვრელად ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს“

მარიკა მჭედლიშვილი

რას ნიშნავს ამერიკის რესპუბლიკური და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ ჩატარებული ახალი კვლევების შედეგების დაანონსება? რატომ შეიქმნა სავალუტო არასტაბილურობა ქვეყანაში? რა კეთდება კრიზისის დასაძლევად? რატომ იქმნება ნიადაგი ნაციონალური მოძრაობის გასააქტიურებლად? „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატს, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

— ნაციონალები კმაყოფილებას ვერ მალავენ ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტისა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ახალი კვლევების შედეგებით. ეს შედეგები მალე უნდა გამოქვეყნდეს. ნაცმოძრაობის აქტივისტების მტკიცებით, ეს შედეგები „ქართული ოცნების“ დელეგიტიმაციას, ანუ დაბალ რეიტინგს დაადასტურებს..

— ძალიან საინტერესო მოვლენაა, როცა ზოგიერთი პოლიტიკოსი წინასწარ საუბრობს კვლევების შედეგებზე, რომელიც არ გასაჯაროებულა. წესით, ეს ინფორმაცია დაცული და კონფიდენციალური უნდა იყოს. ამის შესახებ არ უნდა იცოდნენ პოლიტიკოსებმა. როცა ვინმე რეიტინგების შესახებ რაიმეს წინასწარ აცხადებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამ კვლევებზე და მის შედეგებზე ხელი მიუწვდება. ანუ კონფიდენციალურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ანუ ნაცმოძრაობა თავად არის ჩართული ამ პროცესში?

— აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ? ნაციონალური მოძრაობა, მასთან დაახლოებული პირები თვითონ მონაწილეობენ ამ კვლევებში, გამოკითხვებში. აქედან გამომდინარე, შედეგებიც არ იქნება ადეკვატური. საზოგადოება ასეთ კვლევებს ვერ ენდობა.

— ნაცმოძრაობას ხელისუფლების საკრიტიკებლად კარგი ნიადაგი მიეცა სავალუტო არასტაბილურობის გამო. ამან მოქალაქეები დააზარალა.

— სავალუტო დეფიციტი რომ გარე ფაქტორებმა განაპირობა, ამაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა და სხვა ექსპერტებმაც ისაუბრეს. სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა მკაფიოდ თქვეს, რომ ამაში საქართველოს მთავრობის ბრალი არ არის. ხელისუფლებას აქვს ამ პრობლემის დაძლევის გეგმა. ის უკვე ხორციელდება. ძალიან სერიოზული კონტრაქტი გაფორმდა ჩინეთთან აბრეშუმის გზის აღორძინებასთან

დაკავშირებით. ჩინეთი ამ საქმეში 40 მილიარდს ჩადებს. გარდა ამისა, ტარდება ღონისძიებები საქართველოს ტურისტული პოტენციალის რეკლამირების მიზნით; მზადდება ობიექტების პრივატიზება; მოსალოდნელია მასშტაბური ეკონომიკური ამნისტია გაჩერებულ მშენებლობებზე. ყველაფერმა ამან უნდა მოსპოს სავალუტო დეფიციტი.

— თუმცა, სავალუტო კრიზისის თემა კიდევ დიდხანს იქნება მთავარი. 21 მარტს ნაცმოძრაობა აქციას სწორედ ამის საბაბით აწყობს და მთავრობის შეცვლასაც მოითხოვს.

— ნაციონალური მოძრაობა ამას პოლიტიკისთვის იყენებს. მას უნდა აყიოტაჟის შექმნა და მოსახლეობის მდგომარეობის დამძიმება. ამ საკითხებზე ატეხილი ხმაური, გამოსვლები, ხალხს შვებას არ მისცემს. პირიქით, გაართულებს მდგომარეობას. ნაციონალური მოძრაობა რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, რა, ლარის კურსს არაფერი დაემუქრებოდა? ყოფილი მმართველი პარტია რომ იყოს ახლა ხელისუფლებაში, სავალუტო დეფიციტის გარდა, ბევრად უარეს დღეში ვიქნებოდით.

— ეკონომიკურად თუ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით?

— ახლა რომ ნაციონალები იყვნენ ხელისუფლებაში, საქართველო ისევე იქნებოდა გახვეული ცეცხლის ალში, როგორც უკრაინა, სადაც ახლა მათი ლიდერები და წევრები საქმიანობენ.

— ძმბნილი სააკაშვილი მარტო უკრაინაში არ არის კარგად მიღებული ფიგურა. ის ამას წინათ აშშ-ს სენატშიც მიიღეს.

— სააკაშვილი პირადად იცნობს რამდენიმე სენატორს. მას მათთან დიდი ხანია, პირადი ნაცნობობა და ურთიერთობები აკავშირებს. ამიტომ, არ არის აუცილებელი ამ შეხვედრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

— დაბოლოს, პრობლემებით დატვირთულ საზოგადოებას აღიზიანებს მუდმივი კინკლაობა საპარლამენტო უმრავლესობაში, მისი წარმომადგენლების მხრიდან ურთიერთობების დაძაბვა პრეზიდენტთან და სხვა.

— აქამდე საზოგადოება მიჩვეული იყო ერთპარტიულობას. ჩვენ გვაქვს კოალიციური უმრავლესობა, სადაც აზრთა სხვადასხვაობა ხშირია. ეს არის პლურალიზმი. რა თქმა უნდა, ჯობია, როცა კამათი შიგნით ხდება და ის გარეთ არ გამოდის. საზოგადოებას არ მოსწონს, როცა კინკლაობაა და ამ პროცესში პოლიტიკოსები ცდილობენ, ტელევიზიებში წარმოჩნდნენ. იმედი მაქვს, რომ მომავალში პროცესები დაიხვეწება და პლურალიზმს საჯარო კინკლაობის სახე არ ექნება.

თიბისი ბანკმა“ და მამუკა ხაზარაძემ გაზეთ ასავალ-დასავალს“ სასამართლო პროცესი მოუგო

წელიწადზე მეტი გრძელდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ „თიბისი ბანკის“ და მისი დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა, რომელიც 11 მარტს დასრულდა. სარჩელი გაზეთის მიერ ბანკისა და მისი დამფუძნებლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და ცილისმწამებლური პუბლიკაციების სისტემატურ გამოქვეყნებას უკავშირდებოდა.

მოსარჩელე მოითხოვდა „ასავალ-დასავალის“ მიერ გამოქვეყნებული ცრუ ინფორმაციის უარყოფას და მორალური ზიანის სახით 160.000 ლარის ანაზღაურებას, რომელიც ბანკის გადაწყვეტილებით, თავისუფალი ჟურნალისტის განვითარებას მოხმარდება. აღნიშნული სარჩელით „თიბისი ბანკმა“ სასამართლოს მიმდინარე წლის 21 თებერვალს მიმართა. მამუკა ხაზარაძის ინტერესებს სასამართლოში ადვოკატები, ზვიად კორძაძე და ქეთი ქვარცხავა იცავდნენ.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის სარჩელთან დაკავშირებით გაზეთ „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ.

სასამართლომ დააკმაყოფილა თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის სარჩელი და დაავალა გაზეთ „ასავალ-დასავალს“ მის მიერ გავრცელებული ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა. კერძოდ, გაზეთის ფურცლებზე უნდა გამოქვეყნდეს უარმყოფელი სტატიები, რომლითაც მკითხველს ეცნობება, რომ სიცრუეა და სინამდვილეს არ შეესაბამება, მათ მიერ გაკეთებული განცხადებები თიბისი ბანკისა და მამუკა ხაზარაძის შესახებ, კერძოდ:

1. არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ თითქოსდა მამუკა ხაზარაძემ და „თიბისი ბანკმა“ უკანონოდ მიისაკუთრა „ელიტ ელექტრონიქსი“, თავისუფლების მოედანზე მდებარე „ცეკავშირის“ შენობა, „ბორჯომის“ აქტივები და ცდილობს „გუდვილის“ გაკოტრებას;

2. არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ მამუკა ხაზარაძე არბევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, მერაბ კოსტავას;

3. მამუკა ხაზარაძეს არანაირი კავშირი არ აქვს 2014 წლის 21 მარტს სოფელ გორაში მომხდარ თვითმკვლელობასთან.

თიბისი ბანკი და მამუკა ხაზარაძე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ თანხის დაკისრების ნაწილში სასამართლოს უარს, რადგან ფაქტია, რომ „ასავალ-დასავალის“ მიერ სამომავლოდ ცილისმწამებლური და ცრუ ინფორმაციის ტირაჟირების ერთადერთი პრევენცია სწორედ მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებაა.

ზვიად კორძაძე:

— სასამართლომ დააკმაყოფილა მამუკა ხაზარაძისა და თბისი ბანკის სარჩელი და დაავალა გაზეთ „ასავალ-დასავალს“ მის მიერ გავრცელებული ყველა ცნობის უარყოფა, რომელიც იყო ყალბი ცნობების შემცველი. ყველა ჩვენი მოთხოვნა, რომელიც არსებობდა სასამართლოს წინაშე, დაკმაყოფილებული იქნა, სასამართლომ მიიჩნია, რომ „ასავალ-დასავალი“ ავრცელებდა ამ საკითხებთან დაკავშირებით არასწორ ინფორმაციას. ერთხელ და სამუდამოდ დაესვა წერტილი იმ საკითხს, რომ თითქოსდა მამუკა ხაზარაძე ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, არბევდა მიტინგებს, ფიზიკურად შეეხო მერაბ კოსტავა. სასამართლომ გამოიკვლია ეს საკითხი. მეორემხარის წარმოდგენილი ვითომდა ვიდეო კადრებით დადგინდა, რომ იმ მიტინგზე მამუკა ხაზარაძე საერთოდ არ იმყოფებოდა. ეს დაადსტურეს მოწმეებმაც, შესაბამისად გადაწყვეტილება არის ობიექტური და სამართლიანი.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა თანხის ნაწილი. ეს ახსნა იმით, რომ მედიის როლის გათვალისწინებით თანხის ნაწილს არ აკმაყოფილებს. ზოგადად თანხას აქვს შემაკავებელი ეფექტი, მაგრამ დაველოდოთ ორშაბათს და ვნახოთ რას დაწერს „ასავალ-დასავალი“ თავის ნომერში ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება, ამიტომ თანხის ნაწილს ყველა ვარიანტში გავასაჩივრებთ და შევეცდებით, რომ სააპელაციო სასამართლოში დარჩენილი მეორე მოთხოვნაც იქნეს დაკმაყოფილებული, რადგან არ გვონია მარტო პირველი ნაწილის დამკმაყოფილებამ მიიღოს ის ეფექტი, რისთვისაც გვქონდა სარჩელი შეტანილი.

მთელი ამ სარჩელის არსი არ მდგომარეობს იმაში, რომ მამუკა ხაზარაძესა და თიბისი ბანკს უნდა მარტო საკუთარი პატივისა და ღირსების დაცვა და ამ ცნობების უარყოფა. ეს არის გარკვეული ნაბიჯი, რომ ჩვენს ქვეყანაში წერტილი დაესვას მსგავსი ტიპის ცრუ კამპანიებს. შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მარტო უაყოფით ეს არ მოხერხდება. ჩვენ ვითხოვდით 160.000 ლარს, რადგან აქ იყო ოთხი მონაწილე — ორი ჟურნალისტი, მთავარი რედაქტორი და გაზეთი. ეს თანხა იყოფოდა ამ ოთხეულზე.

დღეს გამოცხადდა სარეზოლუციო ნაწილი, დავალოდებით საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლას და შემდეგ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში. თუ „ასავალ-დასავალმა“ გააპროტესტა, ალბათ ძალაში შესვლა კიდევ გაჭიანურდება.

ცხადია, „ასავალ-დასავალი“ გააგრძელებს ფუნქციონირებას, რადგან არც ჩვენ და არც სასამართლოს არ აქვს რაიმეს აკრძალვის უფლება. უბრალოდ, მედიამ უნდა შეძლოს და მოახერხოს, რომ თავისი ცნობები გაავრცელოს იმ ფარგლებში, რასაც კანონმდებლობა მოითხოვს. გაგრძელდება ესეთი ტიპის კომპანია? გაგრძელდება სარჩელები. მედია უნდა იყოს ჩარჩოებში — არცერთი შეხედულება და მოსაზრება არ ექვემდება გასაჩივრებას. თუნდაც ლანძღვა, მაგრამ რასაც ითვალისწინებს კანონი, რომ ცრუ ფაქტების ტირაჟირებაზე მივმართავთ სასამართლოს.

სამართალი

დიტო ჩუბინიძე: ასავალ-დასავალი“ ხაზარაძესთან ბრძოლას არ შეწყვეტს“

„ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძეს არ გააჩნია ღირსება და ზნეობა. როგორც ჩუბინიძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გუშინ, 11 მარტს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „ასავალ-დასავალი“ არ შეწყვეტს მამუკა ხაზარაძესთან ბრძოლას და საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

დიტო ჩუბინიძემ აქვე ისაუბრა აქციაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახლთან გუშინ გაიმართა. როგორც ჩუბინიძემ განმარტა, აღნიშნული აქციის მიზანია, რომ ბიძინა ივანიშვილს მიაწოდონ ინფორმაცია ცეკავშირის შენობის შესახებ. ჩუბინიძის თქმით, აღნიშნული შენობა ხაზარაძემ ცეკავშირის მეპაიეებს წაართვა და შემდეგ ბიძინა ივანიშვილს მოტყუებით მიჰყიდა.

დიტო ჩუბინიძე:

— დღეს 3 საათზე ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან ცეკავშირის ადვოკატი და ცეკავშირის მეპაიეები იწყებენ უვადო შიმშილობას. საქმე გამოძიებულია, რომელიც ცეკავშირის ქონების უკანონო მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტს უკავშირდება. ახლა დარჩენილია ერთადერთი პროცედურა — ხაზარაძეს ყურებში უნდა მოჰკიდონ ხელი და მიიყვანონ პროკურატურაში. ამ საქმეს ბლოკავენ თავიანთი მფარველების წყალობით.

ჩუბინიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი ხაზარაძემ და მისმა მფარველებმა შეიყვანეს შეცდომაში და ეს მითვისებული ცეკავშირის შენობა შეაჩეჩეს ამ კაცს ხელში.

— ეს აქცია, რომელსაც ცეკავშირის მეპაიეები და მისი ადვოკატი მართავენ, არ ემსახურება და არ არის ივანიშვილის წინააღმდეგ. აქცია ემსახურება მის ინფორმირებას, რათა განსაჯოს ინფორმაცია, რომ ეს შენობა არის ნაქურდალი. დარწმუნებული ვართ, ცეკავშირის ეპიზოდში იზეიმებს სამართლიანობა. მერე ჩვენ აუცილებლად გამოვაქვეყნებთ განაჩენს, — განაცხადა დიტო ჩუბინიძემ.

საბერძნეთში ქართველების დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს

საბერძნეთში, ატიკის რაიონში, სამართალდამცველებმა საქართველოს მოქალაქეების 11 კაციანი დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავეს. მათ ბრალად ყაჩაღობა და ძარცვა ედებათ.

საბერძნეთის პოლიცია აცხადებს, რომ ბოროტმოქმედები ატიკის რაიონის კერძო სახლებს სისტემატიურად ძარცვავდნენ.

აპსნი-ის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები საბერძნეთში 25 თებერვალს დააკავეს.

დანაშაულებრივ ჯგუფში იყვნენ ქალებიც, რომლებიც ოჯახებში შინამოსამსახურეებად მუშაობდნენ და მძარცველებს სახლის მფლობელებზე ინფორმაციას აწვდიდნენ, ძარცვის შემდეგ კი ნაქურდალს თანაბრად იყოფდნენ.

კრიმინალური ჯგუფი ასევე, მოხუცების სახლებსაც ძარცვავდა.

საბერძნეთის პოლიციამ მათი დაკავება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც ერთი და იმავე სქემით გაძარცვული ბინების 9 ფაქტი გამოვლინდა.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

„ჩემს მეზობლებს სული შიმშილით სძვრებათ და მაინც ამ ხელისუფლების მზეს ფიცულობენ“

ხალხის აზრი

მიდიხართ თუ არა 21 მარტს ნაციონალების აქციაზე?

ნონა ცაბაძე

ნაციონალები 21 მარტს სერიოზული აქციისათვის ემზადებიან. აცხადებენ, რომ მოსახლეობა ხელისუფლებას განუდგა და მათ აქციაზე ბევრი ხალხი მივა. „ახალი თაობა“ დაინტერესდა აღნიშნული საკითხით და მოსახლეობაში გამოკითხვა ჩაატარა შემდეგი კითხვებით: აპირებთ თუ არა ნაციონალების აქციაზე წასვლას და რას ფიქრობთ ამჟამინდელ ვითარებაზე?

ნინო, 43 წლის, დიასახლისი:

— აპირებთ 21-ში ნაციონალების აქციაზე წასვლას?

— არ ვაპირებ. იმიტომ, რომ არავარ მათი მომხრე. არც ამ ხელისუფლების მომხრე ვარ, ვხედავ რა პრობლემებიც არის, მაგრამ ნაციონალების დაბრუნება აღარ მოხდება! ნაციონალებმა ძალიან უკან დაწიეს ჩვენი ქვეყანა და არანაირი პერსპექტივა მაგათ არა აქვთ. განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილს.

— წინა ხელისუფლების დროს უფრო უჭირდა თქვენს ოჯახს ეკონომიკურად თუ ახლა?

— არც ახლა ვარ დალხენილი, მაგრამ მარტო იმიტომ ვარ მადლობელი, რომ მიშა საერთოდ წავიდა. ბევრს აშავებს ეს ხელისუფლება, რომ ნაციონალებს ამდენს ალაპარაკებს. მე რომ მკითხოთ, ეგენი საერთოდ არ უნდა იყვნენ პოლიტიკაში. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, მხარში ამოვუდგეთ ხელისუფლებას, ჩვენც გავაკეთოთ რაღაც, მარტო ხელისუფლებას ნუ ვუყურებთ ყველაფერში.

ია, 39 წლის:

— აპირებთ 21 მარტს ნაციონალების აქციაზე წასვლას?

— არა, აქციაზე წასვლას არ ვაპირებ, მაგის დრო ნამდვილად არა მაქვს.

— რომ გქონდეთ, წახვიდოდით?

— ალბათ არა.

— ამჟამინდელ ვითარებაზე რას ფიქრობთ?

— ვითარება ძალიან მძიმეა, მაგრამ აქციაზე მაინც არ წავალთ.

— თქვენს ოჯახს ეკონომიკური მდგომარეობა წინა ხელისუფლების დროს უკეთესი ჰქონდა თუ ახლა?

— ახლა უფრო გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა. ფინანსურად შეგვეტყო უარესობა, თორემ მორალურად არა.

— თქვენი აზრით, შეძლებენ ნაციონალები მრავალრიცხოვანი აქციის ჩატარებას?

— ვერ გეტყვით. მათაც ჰყავთ მომხრეები, მიუხედავად ამდენი უბედურებისა. მე და ჩემი ოჯახის წევრები არ წავალთ.

ზურა, 64 წლის:

— მიდიხართ ნაციონალების აქციაზე? საზოგადოება უკმაყოფილოა და ბევრ ხალხს ველოდებითო.

— არა, რას ამბობთ, სად უნდა წავიდე. უკმაყოფილებაზე თუა ლაპარაკი, გავიხსენოთ, ორი წლის წინ როგორი უკმაყოფილო ვიყავით. ამის დავიწყება არ შეიძლება. უცებ არაფერი არ კეთდება. ერთ და ორ წელიწადში სახელმწიფო კი არა, ოჯახი ვერ დგება ფეხზე.

— დღევანდელ ვითარებაზე რას ფიქრობთ? გაუარესდა თქვენი ეკონომიკური მდგომარეობა?

— ეკონომიკური მდგომარეობა ისედაც გაუარესებული გვქონდა და თავზე გვქონდა დაქცეული ყველაფერი. მთავრობაში არის ხარვეზები, მაგრამ გამოსწორებადია. მთავარი ნუ დაგვავიწყდება — რა სად პიროვნული შეურაცხყოფა, რომელიც იყო ორი წლის წინ და რა სიტუაციაც არის ახლა. ჩემთვის მორალი და ადამიანური ურთიერთობები მთავარია ცხოვრებაში და მერე მოდის ყველაფერი დანარჩენი.

— თქვენი ეკონომიკური მდგომარეობა როგორია?

— უმუშევარი ვარ, არსად არ ვმუშაობ, მაგრამ მაინც ასეთი განწყობა მაქვს. ალბათ ბევრი ფიქრობს ჩემნაირად. ორი წევრი ვართ ოჯახში და ორივე უმუშევარი, თავი ძლივს გაგვაქვს, მაგრამ შედარებითი ხომ არის ყველაფერი?! ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელია. ფიზიკურადაც უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ჩვენს ხალხს ეს არ უნდა, მაგარი ზარმაცი ერი გამოვდექით. ყველაფერი გამზადებული გვინდა და სხვის ხარჯზე ცხოვრება და გამზადებულს რომ გვაძლევენ, რასაც გვაყოლებენ უკან, კი ვხედავთ!

ლიანა, 69 წლის:

— მიდიხართ 21-ში ნაციონალების აქციაზე?

— სულ რომ ქვეყანა დააქციოს ამ მთავრობამ, ნაციონალებს მაინც მირჩევნია, შვილო. მაგათ, 9 წელი ჩვენი სისხლი წოვეს და კიდევ რა ნამუსით ლაპარაკობენ?! ვინც უსინდისოა, ის წავა ნაციონალების აქციაზე. მე ლტოლვილი ვარ, ოცი წელიწადია უბინაოდ ვარ, ქირით გავატარე ეს წლები, ახლა რომ წაუგრძელებიათ ენა, რატომ არ მომცეს ბინა? ეგება ამ მთავრობამ რამე გააკეთოს, იმათგან არაფერ სიკეთეს არ მოველი.

— ნაციონალების დროს უფრო გიჭირდათ ეკონომიკურად თუ ახლა?

— მაშინ უფრო მიჭირდა, ვიდრე ახლა. ხელს თუ გაანძრევ, ორ კაპიკს შემოიტან სახლში. მაშინ სულ დატერორებულები ჰყავდათ ხალხი, ამუშავებდნენ მშენებლობებზე და ხელფასსაც არ უხდიდნენ.

— ახალი ხელისუფლებით კმაყოფილი ხართ?

— ჯერ ახლები არიან და ვნახოთ. შემპირდნენ, რომ ბინით დამაკმაყოფილებენ 2016 წლამდე. ჩემთვის მთავარი ეს არის, რომ ჭერი მქონდეს და მერე საჭმლის ფულს კი იშოვის კაცი.

ნელი, 47 წლის:

— მიდიხართ ნაციონალების აქციაზე?

— არა, რა მინდა მაგათ აქციზე?!

— კმაყოფილი ხართ ახალი ხელისუფლების? როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა?

— მაშინაც რთული იყო და ახლაც რთულია. ჩვენთვის არაფერი შეცვლილა. ხელისუფლების კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. მოუკლონ ცოტა ჭამა-სმას, ამხელა პრემიებს რომ იღებენ, კარგი ცხოვრება, კარგი ჯიპები, ცოტა ხალხზეც იფიქრონ! სანამ სკამზე დაჯდებიან, მანამ ფიქრობენ ხალხზე, კოშკებს გიგებენ და მერე ყველას ყველაფერი ავიწყდება.

— ამ უკმაყოფილების მიუხედავად, აქციაზე მაინც არ წახვალთ?

— არა, არ წავალ! რა აზრი აქვს? ვინც არ უნდა მოვიდეს, არაფერი შეიცვლება.

ირინა:

— არ მივდივარ ნაციონალების აქციაზე. აპოლიტიკური ადამიანი ვარ და არ მაინტერესებს ეს პოლიტიკური ბატალიები.

— ახალი ხელისუფლება მოგწონთ?

— უკაცრავად, მაგრამ არც ეგენი მაინტერესებს.

დემური, 64 წლის:

— მიდიხართ ნაციონალების აქციაზე?

— არა, მაგ დროს თბილისში არ ვიქნები, ქვეყნიდან მივფრინავ.

— რომ ყოფილიყავით, წახვიდოდით?

— არ ვიცი. მაგ დროს იტალიაში ვიქნები.

— ახალ ხელისუფლებაზე რას გვეტყვით?

— არ მაინტერესებს არც ძველი და არც ახალი. ყველამ მოაბეზრა ხალხს თავი.

— ეკონომიკურ მდგომარეობაზე რას ფიქრობთ? როდის უფრო ცუდად იყო საქმე, ნაციონალების დროს თუ ახლა?

— ორივეს დროს. კომუნისტები ჯობდა მაგათ ორივეს.

— ე.ი. ჩვენი საშველი არ არის?

— დიახ, ეგრეა.

ნატა, 27 წლის:

— მიდიხართ 21–ში აქციაზე?

— რა აქციაზე?

— ნაციონალების.

— პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს. ისიც კი არ ვიცი, რა აქციაა. საერთოდ არ ვუყურებ ტელევიზორს. თუ ბევრი მომბაძავს, ჩემი თაობა მაინც, გაცილებით ლამაზი და ფერადი იქნება მათი ცხოვრება, მერწმუნეთ.

ქეთინო, 46 წლის:

— მიდიხართ ნაციონალების აქციაზე?

— დიახ, მივდივარ. მე ნაციონალების გულშემატკივარი ვიყავი თავიდანვე და ბოლომდე ასე იქნება.

— პირველი ხართ, ვინც მითხრა, რომ ნაციონალების აქციაზე მიდის.

— ყველას თავისი გზა აქვს. ბევრი აპირებს კიდეც წასვლას, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობს. მივდივარ და რატომ უნდა დავმალო?! მიშას ფანი ვიყავი მთელი ცხოვრება.

— იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც მას და ის ხელისუფლებას ბრალდება?

— რა ბრალდება, ნუ გადამრევთ ახლა. არ მითხრათ, ეს ხელისუფლება ჯობიაო. ოლიგარქი ივანიშვილი, ხალხი მოატყუა, უამრავი დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში და რა გაგიკეთათ? საკუთარი მილიარდები გაიორმაგა. ილოცეთ, ილოცეთ ბიძინაზე! ნახავთ, ცოტა ხანში რა დღეში ჩავარდებით, სანთლებს დაუნთებთ მიშას, რომ დაბრუნდეს. სად არის ახლა სამსახურები? ყველგან ბიძაშვილ-მამიდაშვილები და ცოლის და– ძმები დაასაქმეს. ასე იყო ნაციონალების დროს? გონს რომ მოეგება ჩვენი ხალხი, უკვე გვიან იქნება! გაიხედეთ, რა ფასებია, ყველაფერი როგორ გაძვირდა, ასე იყო მიშას დროს?! ვერცერთი დაპირება ვერ შეასრულეს! ჩემი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მაშინ უკეთესი იყო. და არა მარტო ჩემი. ჩემს მეზობლებს სული შიმშილით სძვრებათ და მაინც ამ ხელისუფლების მზეს ფიცულობენ, ვაი ამათ პატრონს! ილოცეთ, ილოცეთ ბიძინაზე, იქნებ გადმოგხედოთ მამამ და მარჩენალმა.

— ნაციონალებმა შეასრულეს დანაპირები 9 წლის განმავლობაში?

— რაც ვერ შეასრულეს, აწი შეასრულებენ. ამ ხელისუფლებას ძველი მირჩევნია. მალე ვნახავ ბიძინა ივანიშვილს უკანმოუხედავად გაქცეულს. მალე დაბრუნდება ჩვენი მიშა და ყველაფერი კარგად იქნება. ხომ ხედავთ, მსოფლიო ვერ შეელია მის პოლიტიკიდან წასვლას და ჩვენ ქვეყნიდან გავაქციეთ. დავამთავრე თქვენთან საუბარი, კარგად ბრძანდებოდეთ!

„ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო ხალხი ნაციონალებს ხმას არ მისცემს“

ნანა დევდარიანი: „მარგველაშვილი ცდილობს დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსის დამკვიდრებას“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი აფასებს.

— ქალბატონო ნანა, რა ხდება დღეს ქართულ პოლიტიკაში? საუბარია, რომ ყველგან პრობლემებია, აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება თუ ადგილობრივი. ასეა?

— აქ მთელი კომპლექსია მიზეზების, რომელზეც არაერთხელ გვისაუბრია. ყველაფერი დაიწყო იქიდან, თუ როგორ ხდებოდა კოალიციის ფორმირება და ეს ბოლო ხანს უმრავლესობის ლიდერმა საგანელიძემაც აღიარა, რომ ამ კუთხით სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. ეს შეცდომები იმდენად ზედაპირზე იდო, რომ ამის არდანახვა იყო შეუძლებელი.

— და ახლა იჩინა თავი?

— რასაკვირველია, ეს თავს იჩენდა აუცილებლად. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ვიცით, რომელ ძალას აქვს ოპოზიციის სტატუსი. ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას და ეს ორ წელიწად-ნახევარი, რაც გავიდა იმ ისტორიული საპარლამენტო არჩევნებიდან, პრაქტიკულად არ იყო გამოყენებული იმისთვის, რომ მომხდარიყო ამ დესტრუქციული ძალის ნეიტრალიზაცია.

— ნეიტრალიზაციაში რა იგულისხმება?

— მე ნეიტრალიზაციაში ვგულისხმობ პოლიტიკურ მეთოდებს, მათთან დებატებში გამარჯვებას ელემენტარულად და ყველაფრის დასაბუთებას, რაც ყველამ ისედაც კარგად ვიცით, რასაც წლების განმავლობაში საზოგადოება აპროტესტებდა და რასაც არ დაერქვა თავისი სახელი. ეს არის იმ კოჰაბიტაციის შედეგიც. ახლა გამოდის „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი და გვიცხადებს, რომ ეს თურმე ხალხის დაკვეთა იყო. ერთი ეხსენებინათ ეგ კოჰაბიტაცია პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ და რამდენ ხმასაც მიიღებდნენ, იმას ნახავდა ყველა.

— ხშირად გვესმის, რომ რაც დრო გადის, მეტ შეცდომას უშვებენო...

— ამაში ხელსაც უწყობენ, მარტო თვითონ არ არიან დამნაშავეები. 9 წელი ცოტა დრო არ არის, ყველა სტრუქტურაში გაიდგეს ფესვი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რომ არა ამერიკის ჩარევა, კაცმა არ იცის, არჩევნების შემდეგ რა მოხდებოდა. ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, რომ გარედან უნდა მოხდეს ჩატარებული არჩევნების აღიარება, აღიარა ამერიკამ არჩევნები იმის სანაცვლოდ, რომ შეუნარჩუნებდა ნაცებს მთავარი ოპოზიციის სტატუსს. პირდაპირ ვაჭრობა მიდიოდა, პირდაპირ სთავაზობდნენ, რომ 40% ჰქონოდა „ოცნებას“ და 60% ნაციონალებს. კიდევ კარგი, რომ ამას არ დაყაბულდნენ. კი, გაიმარჯვეს არჩევნებში, მაგრამ გარკვეული პერიოდი ნაციონალებთან ერთად მართეს ქვეყანა. საკმაოდ ეკლექტური ძალაა „ოცნება“ და ესეც ამერიკელების დამსახურებაა, მათ ახალ პოლიტიკურ ძალაშიც სჭირდებოდათ მკვეთრად პროდასავლელები, რაც გააკეთეს კიდევაც. რა მეთოდებით დაარწმუნეს ბიძინა ივანიშვილი, მე ეს არ ვიცი, რადგან იქ არ ვტრიალებდი. თუმცა იმ მოკლე ხანში, რაც „ოცნებაში“ ვიყავი, მივხვდი, რომ სასიკეთოსკენ არ მიდიოდა საქმე.

— რას ველოდებით?

— არც ისე უიმედო სიტუაციაა, რადგან ვხედავთ, რომ ამომრჩეველი მაინც სად არჩევანს აკეთებს. ეს ადგილობრივმა არჩევნებმაც დაგვანახვა და მომავალშიც ასე იქნება. „ოცნებით“ უკმაყოფილო ამომრჩეველი ნაციონალებს კი არ მისცემს ხმას, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებს.

— ოპოზიცია გაიძახის, ნარმანია შეცდომას შეცდომაზე უშვებს და შესაძლოა მისი პასუხისმგებლობის საკითხიც კი დადგესო.

— რა სახის პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი?! მერი არის არჩევითი თანამდებობა! ეს ვინმეს ხომ არ ავიწყდება?! თუ იმას გულისხმობენ, რომ ზეწოლა იქნება და აიძულებენ, რომ გადადგეს, ეს ნამდვილად არ იქნება სწორი. ახლახან არჩეული მერია და უნდა მიეცეს საშუალება, რომ რაღაც გააკეთოს. შეცდომებს რაც შეეხება, უშეცდომო არც ერთი ხელისუფლება არ არის და ამისთვის არის საზოგადოება, რომ მუდმივად შეახსენოს.

— გარემოცვის შერჩევაში ხომ არ შეცდა ნარმანია?

— ჩვენ ვართ ძალიან არაორდინალურ სიტუაციაში. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არის მოთხოვნა ახალ სახეებზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, არის ისეთი პოლიტიკური თანამდებობები, რომლებზეც ადამიანები პირდაპირ სასწავლო დაწესებულებებიდან არ უნდა მიდიოდნენ. ამ ყველაფერს გამოცდილება სჭირდება. ესენი გაიჩხირნენ იმავე ასაკობრივ ცენზში, რომელშიც იყვნენ ნაციონალები. ჩათვალეს, რომ მარტო ეგ თაობაა ქმედუნარიანი. ეს დიდი შეცდომაა. ჩვენც ხომ ნაციონალებს არ დავემსგავსებითო და მთელი ნაციონალების კადრები ჩატოვეს სამსახურებში. ეს ხალხი კი ჭიპლარით არის მიბმული ნაციონალებზე და მიხეილ სააკაშვილზე. კრიტიკულ სიტუაციაში რომელი როგორ მოიქცევა, არ არის ძნელი გამოსაცნობი.

— რადგან ნაციონალებს მივადექით, იცით, რომ საპროტესტო აქციას გეგმავენ. სერიოზულ დესტაბილიზაციაზე საუბრობს ხალხი. ყველაფერზე არიან წამსვლელებიო, ოჯახები გახიზნეს ქვეყნიდანო, მაგრამ რამდენად მიეცემათ ამის საშუალება და რამდენად ივარგებს ჩვენი პოლიცია ამ დღეს?

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ავეჯზე მოთხოვნა შემცირდა

„პროდუქცია ბევრი გვაქვს, შეძენის მსურველი — ცოტა“

საქართველოში უამრავი ავეჯის მაღაზიაა, სადაც თავისუფლად შეგიძლიათ შეიძინოთ ტრადიციული თუ ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული, სხვადასხვა დიზაინის, ზომისა და ფერის ნაკეთობები. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ამ ბიზნესში უამრავი ადამიანია ჩართული. თუმცა მათი განცხადებით, ბოლო თვეების განმავლობაში ლარის გაუფასურებამ და ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა ვითარებამ მათი საქმიანობა სერიოზულად შეაფერხა და დააზარალა.

განსაკუთრებით მცირე მეწარმეებს გაუჭირდათ.

— ზოგადად, ბიზნესს შეექმნა დიდი პრობლემები და გამონაკლისი ამ მხრივ არც ჩვენ ვართ. მე მაღაზია სულ დავხურე იმიტომ, რომ შემოსავალი აღარ მქონდა და ოფისის ქირასაც ტყუილად ვიხდიდი. ამ ეტაპზე ავეჯის შეძენის სურვილი არავის აქვს იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას სულ სხვა პრობლემები აწუხებს, — აღნიშნა ერთ-ერთმა მათგანმა ბპნ.გე-სთან საუბრისას.

ანა გაბინაშვილს ელიავას ბაზრობაზე პატარა მაღაზია აქვს დაქირავებული და ისიც კლიენტების შემცირების გამო წუხს:

— ამ ბაზრობაზე დასაქმებული მცირე მეწარმეების დიდი ნაწილი უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაშია. მარტო ჩვენს სფეროში კი არ გაუარესდა სიტუაცია, არამედ — ყველგან და ეს ჩვენზეც აისახა. კლიენტურა გვაკლია ისევე, როგორც ნებისმიერ მაღაზიას, რომელიც სურსათითა და პირველადი მოხმარების საგნებით არ ვაჭრობს. ხალხი ავეჯს აღარ ეტანება და ჩვენამდეც არ მოდის.

შემოსავალი შედარებით მსხვილ მაღაზიებსაც შეუმცირდათ. ამის თაობაზე მაღაზიათა ქსელ „ზოდის“ მარკეტინგის მენეჯერი ნინო ზავრაშვილი გვესაუბრა:

— ჩვენი ფირმა სულ ექვს მაღაზიას აერთიანებს. სამი მათგანი თბილისშია, ხოლო დანარჩენი სამი — გორში, მარნეულსა და რუსთავში. პროდუქციის რეალიზაცია რეგიონებშიც ძალიან შემცირდა და დედაქალაქშიც. იქიდან გამომდინარე, რომ ავეჯს უცხოური ვალუტით ანუ დოლარით ვყიდულობთ, ლარის კურსის ცვალებადობამ ჩვენს ფასებზეც იქონია გავლენა. ფასები სულ მცირე, 10 პროცენტით გავზარდეთ, პროდუქციის ნაწილი ჩვენს ქსელში საშუალოდ 20-30 ლარით გაძვირდა. მომხმარებელი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამ და სხვა ფაქტორებმა ჩვენი პროდუქციის რეალიზაციაზეც იქონია სერიოზული გავლენა. თუ ლარის კურსი სტაბილური გახდება, ფასები ჩვენს ქსელშიც შემცირდება.

ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების თქმით, არა მხოლოდ იმ მეწარმეებს გაუჭირდათ, ვისაც მზა ნაწარმი უცხოეთიდან შემოაქვს და საქართველოში ყიდის, არამედ იმათაც, ვინც ავეჯს აქვე აწარმოებს, რადგან ისინიც იმპორტირებულ ნედლეულს იყენებენ.

— ოჯახური ბიზნესი გვაქვს, მასალას ვყიდულობთ და ავეჯს საკუთარი ხელით ვამზადებთ. ეს მასალა უცხოეთიდან არის შემოტანილი და მასში დოლარია გადახდილი. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხელოსნები ძირითადად შემოტანილ პროდუქციას იყენებენ და მერე ყველაფერს მისგან ამზადებენ. რაც დოლარის ფასმა მოიმატა, სამუშაო თითქმის აღარ გვაქვს. ეროვნული ვალუტა უფასურდება და ყველა ცდილობს, ფული არ დახარჯოს, ვიდრე ის სტაბილური არ გახდება, ამიტომ ბიზნესსაც უჭირს, მით უმეტეს, ისეთ მცირე ბიზნესს, როგორიც ჩვენ გვაქვს, — აღნიშნავს მცირე მეწარმე მირიან მწითური.

ბოლო თვეებში შეკვეთების კატასტროფულად შემცირებას უჩივის მეწარმე მალხაზ ნიკურაძეც, რომლის თქმითაც, უკვე ერთი თვეა, შეკვეთა აღარ მიუღიათ.

— თითქმის ყველაფერს ვამზადებთ — იქნება ეს საოფისე თუ საოჯახო ავეჯი — სამზარეულო, კომოდი, თუ კომპიუტერის მაგიდა... ბოლო თვეებში შეკვეთები კატასტროფულად შეგვიმცირდა. თუმცა ამას მხოლოდ ეკონომიკურ სიტუაციას ვერ დავაბრალებ, რადგან ბოლო წლებში ამ საქმით დაკავებული ხელოსნების რაოდენობა ძალიან გაიზარდა. ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ კი საქმე უფრო გაგვირთულა. ვინც ავეჯს აქვე, საქართველოში ამზადებს, ყველას ერთნაირი სიტუაცია აქვს იმიტომ, რომ უმეტესობა იმპორტირებულ საქონელს იყენებს, — აცხადებს მალხაზ ნიკურაძე.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბპნ.გე

სილამაზის სალონები იხურება

„2008 წლის ომის დღეებშიც კი მხოლოდ ერთკვირიანი ჩავარდნა გვქონდა, ახლა კატასტროფული ვითარება გვაქვს“

დოლარის კურსის აწევა ყველა სფეროს მტკივნეულად შეეხო — დახურვის რეალური საფრთხის წინაშე არიან სილამაზის სალონები, რომლებიც კლიენტების საგრძნობლად შემცირებაზე საუბრობენ.

— 15 წელია, ჩვენი სალონი მუშაობს და ასეთი მკვდარი სეზონი კარგა ხანია არ მახსოვს. 2008 წლის ომის დღეებშიც კი მხოლოდ ერთკვირიანი ჩავარდნა გვქონდა, ახლა გაცილებით კატასტროფული ვითარება გვაქვს. რომელ მოგებაზეა ლაპარაკი? თვის ბოლოს ფართის ქირას როგორ გადავიხდით, არ ვიცი, — გვითხრა ერთ-ერთი სილამაზის სალონის მფლობელმა მარიამ სანადირაძემ.

მისივე თქმით, იგივე სიტუაციაა სხვა სალონებშიც, სადაც სტილისტები მხოლოდ ძველ, ე.წ. თავის კლიენტურაზე მუშაობენ.

— ორ თვეზე მეტია, ვითარება უკეთესობისკენ არ იცვლება. მომხმარებელთა რაოდენობა ყოველდღიურად მცირდება. ამ თვეში ჩემ გარშემო უკვე დაიხურა ორი სალონი. არადა გაზაფხულის მოსვლა პირდაპირ უკავშირდებოდა კლიენტების მატებას. წინა თვეში ფართის ქირის თანხა და კომუნალური გადასახადები ძლივს დავფარეთ. სტილისტებს კუთვნილი გასამრჯელოს ნახევარი მივეცი. კრიზისი სალონში არსებული მომსახურების ყველა სპეციალისტს შეეხო, — ამბობს მარიამ სანადირაძე.

საჭირო პროდუქციისა და სამუშაო იარაღების გამოწერის შემცირებაზე საუბრობენ სტილისტები. მათი თქმით, თუ მანამდე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან თვეში ერთხელ იწერდნენ თმის საღებავებს, შამპუნებსა და ბალზამებს, ამ თვეში მხოლოდ აუცილებელი, მკაცრად განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია გამოიწერეს დოლარის კურსის აწევისა და კლიენტების შემცირების გამო.

კლიენტურის დეფიციტს უჩივიან კოსმეტოლოგებიც. როგორც ერთ-ერთი სილამაზის სალონის კოსმეტოლოგმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ძირითადად მხოლოდ ძველ კლიენტებზეღა უწევს მუშაობა.

— 20 წელზე მეტია, სალონში ვმუშაობ, მაგრამ ასეთი ჩავარდნა არ მქონია. თან ფართიც ქირით გვაქვს აღებული და იმაზე ვღელავთ, როგორი იქნება თვის ბოლო. დღის განმავლობაში თუ 20-ზე მეტ კლიენტს ვიღებდი, ეს დღეები 10 მომხმარებელს ვერ ავცდი, — გვითხრა კოსმეტოლოგმა თინა სიხარულიძემ.

ლალი პაპასკირი, ბპნ.გე

ქართული ოცნებით“ უკმაყოფილო ხალხი ნაციონალებს ხმას არ მისცემს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— მთლიანად ხელისუფლებამ უნდა ივარგოს. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოება და ის, რომ ჩარჩოებიდან არ გავიდეს მანიფესტაცია და მთლიანად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პარალელურად არ განვითარდეს ისეთი მოვლენები, რამაც შეიძლება დეტონატორის როლი შეასრულოს. ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს კოორდინირებულად. შიშს დიდი თვალები აქვსო, ნაციონალებმა იმდენი უბედურება დაატრიალეს, რომ ხალხი მათგან მხოლოდ უბედურებას ელოდება. მათ ამის რესურსი არა აქვთ, ერთადერთი პროვოკაციების მოწყობა შეუძლიათ და ამისთვის მზად უნდა იყოს ხელისუფლება.

— რა არის მათი მიზანი? რომ ამ პროვოკაციებზე წამოაგოს ხალხი და შემდეგ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული დაბრალდეს ხელისუფლებას?

— ვინაიდან ჩვენ ეს ყველაფერი გავლილი გვაქვს, ამიტომ მომზადებულები და ცივი გონებით უნდა შევხვდეთ ამას.

— თქვენ მაინც რას ელოდებით?

— არ ველოდები, რომ რაღაცა სერიოზული მოხდება. იმიტომ, რომ როდესაც ასეთ გამწვავებაზე მიდიხარ, უნდა გქონდეს იმედი, რომ „მაიდანი“ შეიკრიბოს. მაგათ გამო არავინ შეიკრიბება, მაგათ წინააღმდეგ კი შეიძლება შეიკრიბოს.

— ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობასაც შევეხოთ. აქამდე ვხედავდით, რომ დაძაბული იყო ვითარება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, ახლა პარლამენტიც ჩაერთო ამ პროცესებში. რა ხდება? მარგველაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ მიდისო, ასეა?

— მარგველაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ კი არ მიდის, ის ცდილობს, დაიმკვიდროს დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშის სტატუსი. მადლობა ღმერთს, რომ ეს კინკლაობა ჩათავდა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, ვინ პირველია, ვინ მეორე. მარგველაშვილი ცდილობს აჩვენოს, რომ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ. თავისუფალი დემოკრატების აზრი გაიზიარა და იმიტომ გადაწყვიტა რიგგარეშე სხდომის მოწვევაო, ამ რიგგარეშე სხდომის მოწვევა ერთ-ერთი იშვიათი უფლებამოსილებაა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩა პრეზიდენტს და ცხადია, ეცდება მის გამოყენებას. რას ერჩით, კაცი ამბობს, შეიკრიბეთ და გავარკვიოთ ლარის გაუფასურებიდან, კრიზისიდან გამოსვლის გზებიო. ცუდს ხომ არაფერს ამბობს!

— მთავრობა ეჭვიანობს მარგველაშვილზეო, ჰგონიათ, რომ შეკრულია ნაციონალებთანო. ახლა ალასანიას გუნდიც დაემატა...

— რეალურად ამას საფუძველიც აქვს, იმიტომ, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილები იდეოლოგიურად ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. თავისუფალი დემოკრატები პრაქტიკულად იმავე სიტყვებით ლაპარაკობენ, ერთი ლექსიკა აქვთ, რაც ნაციონალებს. თვითონ ალბათ იტყვიან, იმიტომ, რომ სიმართლეს ვამბობთო და სიმართლის თქმასაც თავის დრო აქვს. რამდენი ხანია ვამბობ, რომ არ არის ნატოში შესვლა რეალური უახლოეს მომავალში, ეს არ მოხდება! სანამ ყველა არ დამწკრივდნენ და სათითაოდ არ გაუმეორეს ხმამაღლა, მანამდე არ დაიჯერეს. ან ეს რა იყო, ზურაბ აბაშიძეს რომ მიესივნენ?! კაცმა თქვა ის, რაც სიმართლე იყო. ჩვენც ვიცით, რომ ეგრეა, მაგრამ შენ არ თქვაო. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები მახსენდება — შვილო, სტალინი გარდაიცვალა, რადიოში გამოაცხადეს, მაგრამ შენ მაინც ნურსად ნუ იტყვიო. ყველამ იცის, რომ ნატოს და ევროკავშირის წევრობა უახლოეს პერიოდში არარეალურია, მაგრამ ამაზე არ უნდა ილაპარაკო.

ცესკო გრანტების სკანდალში ეხვევა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ყველაზე სკანდალური კიდევ ისაა, რომ პროექტების შესრულების პარალელურად, ეს ადამიანები მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში, სხვადასხვა სამინისტროებში, რაც კანონდარღვევაა.

— კონკრეტულად, კანონსაწინააღმდეგო რა არის?

— კანონსაწინააღმდეგო ისაა, რომ არ შეიძლება ადამიანი მუშაობდეს არასამთავრობო ორგანიზაციაში და პარალელურად მუშაობდეს სახელმწიფო სტრუქტურაში. ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება. მეორე უხეში კანონდარღვევაა ისაა, რომ ადამიანს, რომელიც ხელს აწერს გრანტების გაცემას, თავად აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსებული და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციას კი არ აფინანსებს, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად, არამედ თავის არასამთავრობოში ექაჩება თანხებს. ეს არის უხეში კანონდარღვევა და თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

მზად ვარ, ვითანამშრომლო ნებისმიერ სამართალდამცავ ორგანოსთან, რომელიც დაინტერესდება აღნიშნული ფაქტებით და მივაწოდო ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციები. მსგავსი შემთხვევებით ვერ შევქმნით ნორმალურ საარჩევნო გარემოს. ეს არის საგანგაშო მომენტი. ქვეყანა ვითარდება და დემოკრატიის გზას ადგას, პარალელურ რეჟიმში კი ფარულად მიმდინარეობს სხვადასხვა გარიგებები. ეს არის კორუფცია და იკვეთება სხვადასხვა დანაშაულის ნიშნები.

— გრანტების თანხების მოზიდვა საიდან ხდება?

— ცესკო გრანტებს გასცემს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით. არ შეიძლება სახელმწიფო თანხები პირადი ინტერესებისთვის დაიხარჯოს. აქ დომინირებს არა 20-30 და 100 ლარი, არამედ საუბარია ასი ათასობით ლარზე.

— კანონი რას ითვალისწინებს, მათ თანამდებობიდან გათავისუფლებას?

— ეს არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თანამდებობიდან გათავისუფლება ყველაზე იოლი ფორმა და მსუბუქი სასჯელია ამ ადამიანებისთვის. სამართალდამცავებმა უკეთესად იციან, რომელი მუხლი შეუფარდონ. მოვუწოდებ სამართალდამცავებს, დროულად გამოიძიონ აღნიშნული სამართალდარღვევის ფაქტები.

ევროსაბჭოს წარმომადგენელი აფხაზეთში შექმნილი ვითარებით დაინტერესდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე, გუშინ, ევროპის საბჭოს პოლიტიკურ მრჩეველთა დირექტორის მოადგილეს, დანიილ ხოშაბოს, პოლიტიკურ მრჩეველ მარსელ კაპის და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილეს, ალექსანდრო სავარისის შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი, ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში შექმნილ ვითარებას, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ზოლში უსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციასა და შს სამინისტროს წინაშე მდგარ გამოწვევებს შეეხო.

ვიზიტისას ხაზი გაესვა სოფელ ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას და ამავე ფორმატის გალის შეხვედრების განახლების აუცილებლობას.

ნიუსპრესი

ოთხ რეგიონში საპატრულო პოლიციას ახალი უფროსები ჰყავს

ოთხ რეგიონში საპატრულო პოლიციას ახალი უფროსები ჰყავს საქართველოს ოთხი რეგიონის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთავარ სამმართველოში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, იმერეთის, აჭარის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მთავარ სამმართველოებს ახალი უფროსები ეყოლებათ.

„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი იქნება ზაალ ფუტკარაძე. აჭარაში ამავე თანამდებობას დავით მამულაშვილი დაიკავებს. ცვლილებაა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების მთავარ სამმართველოებშიც, სადაც უფროსის პოსტს, შესაბამისად თემურ კუპატაძე და კახაბერ ბუხრაძე დაიკავებენ“, — აცხადებენ შსს-ში.

პირველი რადიო

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და საოპერაციოვ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცარია და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ყირიმი და აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილი ტერორის გამო იტანჯება“

პუტინის ქონება ათობით მილიარდი დოლარი ღირს

ოკუპირებულ ყირიმსა და დონბასის ცალკეულ რეგიონებში „ტერორი სუფევს“, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ვიქტორია ნულანდმა „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში განაცხადა.

— მაშინ, როდესაც უკრაინა მშვიდობიან, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებს, ყირიმი და აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილი ტერორის გამო იტანჯებიან, — განაცხადა ნულანდმა.

ამერიკელმა დიპლომატმა რუსეთი კიდევ ერთხელ დაადანაშაულა დონბასში კონფლიქტის გამწვავებაში, რასაც ათასობით ადამიანი შეეწირა.

— დღეს ყირიმი არის ოკუპირებული, ხოლო ადამიანის უფლებების დარღვევა ნორმას წარმოადგენს და არა გამონაკლისს, — აღნიშნა ნულანდმა.

რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში „ბოევიკების“ შეიარაღებითა და წვრთნებით უზრუნველყოფას განაგრძობს. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. „როიტერის“ ცნობით, სტოლტენბერგმა მოსკოვს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პატივისცემისკენ მოუწოდა.

— ჩვენ ჯერ კიდევ ვამჩნევთ რუსული ჯარების ყოფნას დონბასში და რომ ისინი აგრძელებენ სეპარატისტების დახმარებას. ჩვენ ვხედავთ სამხედრო აღჭურვილობისა და ჯარისკაცების გაგზავნის პროცესს უკაინაში. რუსეთი კვლავ აღმოსავლეთ უკრაინაშია. ამიტომაც მოვუწოდებთ მოსკოვს, გაიყვანოს თავისი ძალები დონბასიდან და პატივი სცეს მინსკის შეთანხმებას, — განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

თავის მხრივ, ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვარი მძიმე ტექნიკამ გადაკვეთა. დამკვირვებლებმა მუხლუხოების მიერ დატოვებული ცხელ-ცხელი კვალი დააფიქსირეს. სპეციალისტები ჯერ-ჯერობით ვერ აკონკრეტებენ, თუ რომელმა ტექნიკამ დატოვა კვალი.

ეუთო გეგმავს მისიის გაზრდას რათა რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთი მთლიანად მოიცვას.

უკრაინის ქალაქ დებალცევოდან უკრაინელი სამხედროების გასვლის შემდეგ მარადიორობის ფაქტები გახშირდა. ამის შესახებ „უნიანი“ სამხედრო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, დიმიტრი ტიმჩუკის ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინება.

როგორც ტიმჩუკი აცხადებს, მარადიორობაში ჩართულები არიან არა მხოლოდ „ბოევიკები“, არამედ ადგილობრივებიც. ისინი ძარცვავენ მეზობლების სახლებსაც კი.

ამას გარდა, ტიმჩუკის ცნობით, დონეცკის ეროვნული უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დროებით შეჩერებულია, ამის მიზეზი კი საჭირო თანხების არარსებობაა.

ომი უკრაინაში ნატოსთვის ერთგვარი გამოცდაა. ამის შესახებ ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ განაცხადა.

მისივე თქმით, თუ ამ გამოცდას ალიანსი ვერ ჩააბარებს, რუსეთთან ბრძოლა ნატოს საზღვრებთან მოუწევს.

— ჩვენ გვეგონა, რომ დამოუკიდებლობა მუდმივი იქნებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც პოსტსაბჭოთა იმპერიალიზმი უკვე ჩვენს საზღვრებთანაა, ვხედავთ, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არ დამთავრებულა. დასავლეთი ამას ძალიან სერიოზულად უნდა მიუდგეს, რადგანაც რუსეთი საფრთხეს არამხოლოდ ჩვენ, არამედ მთელ ევროკავშირს უქმნის, — აღნიშნა ლიტვის პრეზიდენტმა.

დიდმა ბრიტანეთმა შესაძლოა, ვლადიმერ პუტინის ფინანსური საიდუმლოებები გაასაჯაროვოს. ამის შესახებ გამოცემა „ტელეგრაფი“ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ფილიპ ჰამონდზე დაყრდნობით იტყობინება. როგორც ჰამონდმა განაცხადა, პუტინის და მისი გარშემომყოფების სიმდიდრის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია.

პუტინის ქონების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა, „ტელეგრაფის“ ცნობით, ის სავარაუდოდ ათობით მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ოფშორული ანგარიშების და ლონდონსა და ნიუ-იორკში არსებული ქონების სახით არსებობს. ოფიციალური მონაცემებით კი, პუტინის ქონება წლიურად ხელფასის სახით 96.000 ფუნტია, ის ასევე ფლობს საცხოვრებელ ბინას და სამ ავტომობილს.

ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა წამოაყენა წინადადება გაიზარდოს „ბიბისის“ რუსული და უკრაინული მაუწყებლობის ბიუჯეტი, რათა წინ აღუდგნენ „რუსულ პროპაგანდას“.

მანამდე ჰამონდმა რუსეთი ბრიტანეთისათვის ყველაზე დიდ საფრთხედ დაასახელა.

გასულ კვირას ბრიტანეთის პრემიერი რუსეთს სანქციების „ახალ დონეზე“ აყვანით დაემუქრა.

— თუ რუსეთი არღვევს 21-ე საუკუნის თამაშის წესებს და დაკავებულია სუვერენული ქვეყნის დესტაბილიზაციით, მაშინ დანარჩენი სამყარო მზად უნდა იყოს რუსეთს განუცხადოს: თქვენ არ შეგიძლიათ დაარღვიოთ წესების ერთი ნაწილი, და ამავე დროს გქონდეთ წვდომა საერთაშორისო ბაზრებთან, საერთაშორისო ფინანსებთან და საერთაშორისო სისტემებთან, — განაცხადა დევიდ კემერონმა.

რამდენიმე დღის წინ ამერიკის ხელისუფლებამ პირველად გაახმაურა სანქციების ფარგლებში რუსული ბანკების გაყინული აქტივების მასშტაბები. როგორც ირკვევა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ფარგლებში, პუტინის მხოლოდ სამი მილიარდერი მეგობრის საბანკო ანგარიშებზე 640 მილიონი დოლარია გაყინული.

იაპონიაში მიწისძვრის შემდეგ ოთხი წელი შესრულდა

11 მარტს ოთხი წელი შესრულდა იაპონიაში მომხდარი დამაგრეველი მიწისძვრის შემდეგ.

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარმა 9 ბალის მაგნიტუდის მიწისძვრამ, რომელმაც ცუნამი გამოწვია, ათასობით ადამიანის სიცოოცხლე იმსვერპლა. უსახლკაროდ დარჩა ასობით ათასი ადამიანი.

მიწისძვრამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ინფრასტრუქტურას. მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაზიანდა მნიშვნელოვნად დაზიანდა ფუკუსიმას პირველი და მეორე ატომური ელექტროსადგურები.

ფუკუშიმა 1-ზე მომხდარი ავარია 1986 წლის ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ყველაზე მასშტაბური და ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ინციდენტი იყო.

ქვეყნაში მუშაობა შეწყვიტეს უდიდესმა ავტომწარმოებელმა კონცერნებმა, მსოფლიოში ცნობილმა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა კომპანიებმა. ქვეყნის ეკონომიკას მილიარდობით ზარალი მიადგა.

11 მარტს მოხდარი მიწისძვრა თავისი შედეგებით იაპონიის ეკონომიკისთვის უდიდესი ზარალის მომტანი აღმოჩნდა, რომელმაც გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის ტემპების შენელებაზე.

„ბიბისის“ ცნობით, ტოკიოში მემორიალური ღონისძიება უკვე გაიმართა, მას იმპერატორი აკიჰიტო და პრემიერ-მინისტრი შინძო აბე დაესწრნენ. დაღუპულთა პატივსაცემად ღონისძიებები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც გაიმართა.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

ზაურ დადაევი: ნემცოვი მე არ მომიკლავს“

დიმიტრი პესკოვი: „დასახვრეტ ოპოზიციონერთა“ სია არ არსებობს

„ნოვაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთში ე.წ. დასახვრეტ ოპოზიციონერთა სია არსებობს, პუტინის პრეს-მდივანი აბსურდულს უწოდებს. დიმიტრი პესკოვის განცხადებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი. „ნოვაია გაზეტას“ მტკიცებით, ნემცოვის გარდა ჩეჩნური დაჯგუფებები მიხაილ კასიანოვის, ალექსეი ვენედიქტოვისა და ქსენია სობჩაკის ლიკვიდაციასაც გეგმავენ, რის შესახებაც სამართალდამცავმა სტრუქტურებმა პრეზიდენტ პუტინს აცნობეს.

ყოფილი პოლიტპატიმრისა და ბიზნესმენის, მიხაილ ხოდორკოვსკის პრეს-მდივანს, კიულე პისპანენს კი მოსკოვში სახლის კართან სამგლოვიარო გვირგვინი დახვდა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაწერა. უცნაურ საჩუქარში პისპანენმა წერილი ვერ აღმოაჩინა, თუმცა ვარაუდობს, რომ სიმბოლური ჟესტი მუქარას უფრო ჰგავს. მის ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს „ნოვაია გაზეტას“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთში ე.წ. „დასახვრეტ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა“ სია არსებობს. შესაძლოა, ხოდორკოვსკი სწორედ ამ სიაში ირიცხებოდეს.

ამასობაში ბორის ნემცოვის მკვლელობასთან დაკავშირებით ახალი ამბები გაირკვა. კერძოდ, ეჭვმიტანილი ზაურ დადაევი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორში აწამებენ. აღიარებითი ჩვენება კი იძულებით მიაცემინეს.

„ლეფორტოვოს“ ციხეში ის საზოგადოებრივ დამკვირვებელთა კომისიის წევრებმა მოინახულეს.

ადამიანის უფლებათა დამცველებს დაკავებულმა განუცხადა, რომ ნემცოვი არ მოუკლავს. ცნობილი ხდება ისიც, რომ ის ჩეჩნურ ბატალიონ „სევერში“ 28 თებერვლამდე ირიცხებოდა, ნემცოვის მკვლელობის მეორე დღეს კი, როდესაც მასზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა, ბატალიონიდან დაითხოვეს.

ამასობაში რუსეთის საგა-

მოძიებო სამსახურმა ადამიანის უფლებადამცველი ანდრეი ბაბუშკინი და გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტი ევა მერკაჩევა დაკითხვაზე დაიბარა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბაბუშკინი და მერკაჩევა ციხეში შეხვდნენ ზაურ დადაევს, შაგიდ და ანზორ გუბაშევებს.

შეხვედრის შემდეგ ბაბუშკინმა განაცხადა, რომ დადაევი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და იცრუა, როდესაც მკვლელობაში მონაწილეობა აღიარა. უფლებადამცველმა და ჟურნალისტმა ციხეში შეხვედრის შემდეგ ასევე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბრალდებულებს სხეულის დაზიანებები აღენიშნებათ.

ისლამისტებმა ახალგაზრდა არაბი სიკვდილით დასაჯეს

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა სიკვდილით 19 წლის არაბი დასაჯეს. მოჰამედ საიდ ისმაილ მუსალემს ჯიჰადისტებმა ბრალი ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდეს. დახვრეტის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში გავრცელდა. ახალგაზრდა არაბი აღიარებს, რომ ისრაელის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ამის შემდეგ მას არასრულწლოვან ბავშვს აკვლევინებენ.

აღნიშნულ ბრალდებებს მოკლულის ოჯახი უარყოფს.

— ისლამური სახელმწიფო“ ამას აკეთებს მხოლოდ ერთი მიზნით, მათ სურთ მთელი მსოფლიოს შეშინება, — განაცხადა დაღუპულის მამამ.

სეიდ ისმაილ მუსალემი 2014 წელს თურქეთში წავიდა, როგორც ტურისტი და დაიკარგა. მოგვიანებით, ის ოჯახს დაუკავშირდა და აცნობა, რომ ისლამისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მისი მკვლელობის ამსახველი ვიდეომასალის ავთენტურობას ისრაელის პოლიცია ჯერ არ ადასტურებს.

ამ ფონზე, გერმანიის ქალაქ მაინცში, ჩატარდა საპროტესტო აქცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

შევახსენებთ, ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო, ხშირად ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფო, 2014 წლის 30 ივნისიდან ოფიციალურად ისლამური სახელმწიფო) — სუნიტ ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაციაა ერაყსა და სირიაში.

აკონტროლებს ერაყისა და სირიის ნაწილს. ტერორისტების გრძელვადიანი მიზანია შეიერთონ მთლიანად ლევანტი, მათ შორის ლიბანი, ისრაელი, პალესტინა, იორდანია, კვიპროსი, სამხრეთ თურქეთი.

ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერმა განაცხადა, რომ ისინი 2003 წლის ჯორჯ ბუშის ერაყში შეჭრამ მიიყვანა ჯიჰადამდე ამერიკელების წინააღმდეგ.

გაერო ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებში ადანაშაულებს.

განცხადებები

სწავლა

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

მკურნალობა

● ექიმი-სპეციალისტი ეფექტურად ვმკურნალობ სექსუალურ სისუსტესა და უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს ყველა ზომის საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასო. მკურნალობა სიმბოლურ ფასებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

რემონტი

● ვასრულებ სამღებრო-„სამალიარო“ სამუშაოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 599-26-18-55.

იყიდება

● გაზით წყლის გამაცხელებელი („კალონკა“) „კარმა“ კარგ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი (შეიძლება დაკლება). ტელ: 295-47-95; 599-11-37-83; 571-007-333.

შალკეს მწარე ხუმრობამდე ცოტა დააკლდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გაზე სადებიუტო მატჩს ატარებდა, პირველივე დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა.

ძირითადი დროის ამოწურვამდე 6 წუთი რჩებოდა, როდესაც ჰუნტელაარმა „რეალის" დაცვას შეცდომა არ აპატია და თავისიანები დააწინაურა.

გოლმა სიტუაცია დაძაბა, მაგრამ სტუმრებმა მეტის გატანა ვეღარ მოახერხეს, თუმცა მომენტი ჰქონდათ, როდესაც კასილიასმა აუღო ჰუნტელაარს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — კლაას იან ჰუნტელაარი

„შალკეს" ყველა ფეხბურთელი იმსახურებს ამ წოდებას. დი მატეოს შეგირდებმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, მაგრამ მაინც ჰოლანდიელი შემტევი უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც დუბლი გაიფორმა. აქედან ერთი გოლი გამარჯვების აღმოჩნდა, მაგრამ არასაკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის.

კარლო ანჩელოტი:

— ვწუხვარ. ცუდად ვითამაშეთ და ეს კლუბისთვის კარგი არაა. ნამდვილად დავიმსახურეთ გულშემატკივრებისგან სტვენა, მაგრამ მათი კრიტიკა უფრო გვაძლიერებს. ჯერ კიდევ მჯერა გუნდის, რადგან ვიცი თუ რა შეუძლიათ ჩემს ფეხბურთელებს. სამუშაო ბევრი გვაქვს — ასეთი თამაშები არავის მოსწონს.

რობერტო დი მატეო:

— დიდებული მატჩი გამოგვივიდა. ოთხი გოლი გავიტანეთ, თუმცა შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით. ბედნიერების გრძნობას განვიცდით და ამავდროულად ვწუხვართ კიდევაც. ცოტა მეტი იღბალი რომ გვქონოდა, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულები გამოვიდოდით. „რეალიდან" რონალდუმ განსაკუთრებულად ითამაშა, ანჩელოტი კი ჯერ კიდევ ტოპ კლასის მწვრთნელია. მეტოქეს არ მივეცით გალაღების საშუალება და მატჩისგან სიამოვნება მივიღეთ, ისევე, როგორც ჩვენმა გულშემატკივრებმა.

<u>პორტუ — ბაზელი 4:0</u>

1:0 ბრაიმი (14), 2:0 ერერა (47), 3:0 კაზემირო (56), 4:0 აბუბაკარი (76)

პორტუ: ფაბიანუ, დანილო (მარტინს ინდი 22), მაიკონი, მარკანო, ალექს სანდრო, ერერა, კაზემირო, ევანდრო (კუარეჟმა 78), ტელიო, აბუბაკარი, ბრაიმი (ნევესი 74)

ბაზელი: ვაცლიკი, ქსაკა, შერი (ემბოლო 58), სამუელი, საფარი, ელნენი, ფრაი (კაკიტანი 63), ზუფი, გონსალესი, შტრელერი, გაში (კალა 77)

გაძევება: სამუელი 90

პირველი მატჩის შემდეგ „ბაზელს" მცირე იმედი კი ჰქონდა შერჩენილი, მაგრამ პორტუგალიელებმა უშანსოდ დატოვეს სტუმრები. „დრაკონებმა" ლამაზი და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და თავიანთი მაღალი კლასი დაუმტკიცეს მეტოქეს.

პორტუგალიელებს მოგება პირველ მატჩშიც შეეძლოთ, მაგრამ მაშინ უიღბლობამაც დააღალატათ, სამაგიეროდ, განმეორებითი შეხვედრისას ყველაფერი გამოუვიდათ.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელთა ყველა გოლი საჯარიმოს გარედან იქნა გატანილი. პირველ ტაიმში ერთი გოლი გავიდა და მისი ავტორი ბრაიმი გახდა, რომელმაც ჯარიმიდან „ცხრიანში" გაგზავნა ბურთი.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე ბრაიმი უკვე ასისტენტად მოგვევლინა და მისი პასის შემდეგ ერერამ ზუსტად დაარტყა — 2:0.

ათიოდე წუთში სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა — ჯარიმა ამჯერად კაზემირომ გაიტანა.

ბოლო გოლიც ლამაზი გამოვიდა — ვენსან აბუბაკარმა, რომელიც 3 მეტოქით იყო გარშემორტყმული, საჯარიმოს გარედან გაისროლა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — იასინ ბრაიმი

„პორტუს" გამარჯვებაში ბრაიმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გაიტანა პირველი და სწრაფი გოლი, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შემატა „დრაკონებს". ასისტენტად მოგვევლინა მეორეს გოლის დროს.

მანჩესტერ იუნაიტედის ფანები დენი უელბეკს სიკვდილით დაემუქრნენ

ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე არსენალთან დამარცხდა. შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი მანჩესტერის ყოფილმა ფორვარდმა დენი უელბეკმა გაიტანა. უელბეკმა გოლი ემოციურად აღნიშნა და ამით მანჩესტერელი ფანები განარისხა.

მატჩის შემდეგ უელბეკს საკუთარი ტვიტერის გვერდზე მუქარის შეტყობინებები დახვდა ფანებისგან, სადაც მას სიკვდილს ჰპირდებიან. რთული სათქმელია, თუ რამდენად სერიოზულია ეს მუქარა. ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

უელბეკი მანჩესტერ იუნაიტედის აკადემიის აღზრდილია და სწორედ ამიტომ შერაცხეს მანჩესტერის ფანებმა ის მოღალატედ. უელბეკი არსენალში წლევანდელი სეზონის დასაწყისიდან გამოდის.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები ელიტრაუნდისთვის ჰოლანდიაში ჩავიდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გერმანული შეკრების გავლის შემდეგ ჰოლანდიაში ჩავიდა, სადაც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში ითამაშებენ, რომელიც 12 მარტიდან დაიწყება.

პატარა „ჯვაროსნების" მეტოქეები მასპინძელი ჰოლანდია, ბელგია და ჩრ. ირლანდიის ნაკრებები იქნებიან.

გერმანული შეკრების შემდეგ მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ ორი ფეხბურთელი, თორნიკე მუზაშვილი და ერეკლე მალაზონია შინ გამოისტუმრა.

საქართველოს ნაკრები ჰოლანდიაში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა:

მეკარეები: გიორგი ჩოჩიშვილი (საბურთალო), ლევან ისიანი (დინამო თბ);

მცველები: ნიკა ყურშავიშვილი, ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური (ყველა დინამო თბ), გიორგი ბერძენაძე (ტორპედო), ომარ ბულუხაძე (საბურთალო), თორნიკე ჭურაძე (ზესტაფონი);

ნახევარმცველები: ბექა ნიკოლაშვილი, გიორგი კოხრეიძე, გაგა კუხიანიძე (ყველა საბურთალო), ვატო არველაძე (ქასიმფაშა, თურქეთი), აკაკი ყურაშვილი (დინამო თბ), რატი არდაზიშვილი, დავით სამურკასოვი (ორივე ლოკომოტივი);

თავდამსხმელები: გიორგი არაბიძე (ლოკომოტივი), ირაკლი ბუღრიძე (დინამო თბ), გიორგი გვასალია (ვიტ ჯორჯია).

ელიტრაუნდის პირველ მატჩს საქართველოს ნაკრები 12 მარტს, 22 საათზე ჰოლანდიის ნაკრებთან გამართავს.

საქართველოს თასზე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

გუშინ „მიხეილ მესხის" საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

გუნდები ასე დაწყვილდნენ:

„დინამო" (თბილისი) — „ცხინვალი" (ცხინვალი); „ჩიხურა" (საჩხერე) — „სამტრედია" (სამტრედია);

ნახევარფინალური ეტაპის პირველი მატჩები 7 აპრილს, განმეორებითი შეხვედრები კი, 28 აპრილს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თასის გამარჯვებული ევროპის ლიგაზე ითამაშებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თასს ჩემპიონი მოიგებს, მაშინ ევროპის ლიგაზე საქართველოს სახელს ფინალისტი დაიცავს.

იქიდან გამომდინარე, რომ ნახევარფინალში მყოფი გუნდების ნაწილს ჩემპიონობის შანსი და ამბიცია ჯერ კიდევ აქვთ, საინტერესო ნახევარფინალების მოლოდინში უნდა ვიყოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მიშა ჟორჟოლიანს!
საყვარელო მიშა,
გილოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს,
წარმატებას. მუდამ ხალისიანსა
და ღიმილიანს გვეოს!
სიყვარულით 'ახალი თაობა~

2023 წლის რაგბის მსოფლიო თასის მასპინძელი ქვეყანა 2017 წლის მაისში გახდება ცნობილი

„მსოფლიო რაგბის" ბრენდის გაძლიერების ფონზე და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად განსაკუთრებულ და რეკორდულად მასშტაბურ სარაგბო დღესასწაულს გვპირდება ინგლისში გასამართი 2015 წელს მსოფლიო თასი, რაგბის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობისადმი ინტერესი საკმაოდ მაღალია.

მასპინძლობაზე წინასწარი განაცხადების შეტანა 2015 წლის 14 მაისს დაიწყება და ამავე წლის 15 ივნისს დასრულდება. ამის შემდეგ, 2016 წლის მაისში დეტალური სატენდერო დოკუმენტაციის გავრცელებამდე, პოტენციურ მასპინძლებს ერთი წლის განმავლობაში მიეცემათ ცოდნის გაზიარებისა და მზადების საშუალება.

შერჩევის პროცესის ახალი ელემენტია 2015 წლის ივნისში დაგეგმილი სემინარი, რომლის დროსაც რაგბის მსოფლიო თასის მასპინძლობით დაინტერესებულ ქვეყნებს შეეძლებათ რაგბის მსოფლიო თასის მასპინძლობის ყველა ასპექტის განხილვა. 2016 წლის მაისში ყველა დაინტერესებულ კავშირს გაეგზავნება დეტალური სატენდერო ინფორმაცია, ხოლო ივნისში მოხდება სატენდერო განაცხადების წარდგენა.

ახალი განრიგი ასევე საშუალებას აძლევს რაგბის მსოფლიო თასის ორგანიზატორს, ინტენსიურად განიხილოს ყველა საკონკურსო წინადადება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით და დეტალურად მიაწოდოს მსოფლიო რაგბის დირექტორთა საბჭოს ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მსოფლიო მასშტაბით რაგბის კეთილდღეობას და შემდგომ განვითარებას.

ბერნარ ლაპასე, მსოფლიო რაგბის თავმჯდომარე:

— რაგბის მსოფლიო თასი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული სპორტული ღონისძიებაა. მსოფლიო თასი არის ინტენსიური ვაჭრობის 6-კვირიანი პერიოდი, რომელსაც ემატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული 500.000-მდე სტუმარი, სპორტული, სოციალური და ტურისტული კუთხით სარგებლის მიღების შესაძლებლობა, 2 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე მოგება და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება — ყოველივე ამის წყალობით მსოფლიო თასი მეტად მიმზიდველია პოტენციური მასპინძლებისთვის. დღევანდელი განცხადება რაგბის მსოფლიო თასისთვის და „მსოფლიო რაგბის" წევრი კავშირებისთვის კარგი ამბავია. შერჩევის პროცესი მკაფიოდ გაწერილი ვადებით საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ქვეყნებს, გაიარონ კონსულტაცია შესაბამის სტრუქტურებთან, მათ შორის ეროვნულ და რეგიონულ ხელისუფლებასთანაც, განახორციელონ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და სრულყოფილად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. ის ფაქტი, რომ იქამდე, სანამ ეს დეტალები გახდებოდა ცნობილი, რამდენიმე ქვეყანამ უკვე საჯაროდ გამოთქვა სურვილი მსოფლიო თასის სამასპინძლოდ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რაგბის მსოფლიო თასის, როგორც ბრენდის სიძლიერეს გლობალურ ბაზარზე.

რაგბის მსოფლიო თასის შესახებ: რაგბის მსოფლიო თასი რაგბის განვითარების უდიდესი ფინანსური ბერკეტია. 2007 წელს საფრანგეთის და 2011 წელს ახალი ზელანდიის მსოფლიო თასების დიდმა კომერციულმა წარმატებამ საშუალება მისცა „მსოფლიო რაგბს" 2009-2012 წლებში 150 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ინვესტიცია გაეკეთებინა რაგბის განვითარების საქმეში და დაეგეგმა 180 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ოდენობის საინვესტიციო პროგრამები 2013-16 წწ. სტრატეგიულ ციკლში. ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ ინიციატივების ფართო სპექტრს, მათ შორის ყოველწლიური ეროვნული კავშირის გრანტებს და სტრატეგიული ინვესტიციების პროგრამებს, რაც ორიენტირებულია „მსოფლიო რაგბიში" გაერთიანებულ 120 კავშირს შორის კონკურენციის გაზრდაზე.

ეკონომიკური ზეგავლენა: 2015 წლის მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტისთვის ჩატარებულმა ეკონომიკური შედეგების კვლევამ გამოავლინა, რომ 2015 წლის ინგლისის მსოფლიო თასმა ქვეყნის ბიუჯეტს 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე მოგება უნდა მოუტანოს. მკვლევარებივარაუდობენ, რომ ჩემპიონატის განმავლობაში შემოსავალი ჯამში დაახლოებით 2.2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს მიაღწევს. ეს რიცხვი 2008 წელს დელოიტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებსაც შეესაბამება.

რუსეთის ნაკრები საქართველოში ჩამოვიდა

14 მარტს საქართველოს ნაკრები წლის მეორე საშინაო მატჩს „მიხეილ მესხის" სტადიონზე გამართავს. რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-4 ტურში „ბორჯღალოსნები" რუს დათვებს ერკინებიან.

შაბათს გასამართი დაპირისპირებისთვის ჩვენი მეტოქე რუსეთის ნაკრები უკვე თბილისშია. „დათვებმა" შეკრება სოჭში გაიარეს — მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა მხოლოდ რუსეთში მოთამაშე მორაგბეებს უხმო.

რუსული სპორტული მედიის ცნობით, პერვუხინმა ნაკრებში ძმები, გრიგოლ და ვალერი ცნობილაძეებიც გამოიძახა, მაგრამ ჩვენებურებმა უარი განაცხადეს. მათი თქმით, რუსეთის ნაკრებს კი დავეხმარებით, მაგრამ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არასდროს ვითამაშებთო.

ჩვენი მეტოქის ბანაკში ერთი სიახლეა: შერკინების თამაშის გასაძლიერებლად რუსებმა ინგლისელი სპეციალისტი ჯეიმზ ბაკლენდი მიიწვიეს, რომელიც 33 წლისაა და თამაშს თავი ახლახან დაანება.

რუსეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

სერგეი ნოვოსელოვი, სტანისლავ სელსკი, ინოკენტი ზიკოვი, ევგენი პრონენკო, ანდრეი ტემნოვი, დიმიტრი კროტოვი, ალექსეი შერბანი, რამილ გაისინი, იური კუშნარიოვი, დიმიტრი გერასიმოვი, იგორ კუშნარიოვი, პაველ ბუტენკო, ნიკიტა ილენკო, ნიკოლაი სერკოვი (ყველა ენისეი), ანდრეი გორბუზოვი, ვიქტორ გრესევი, რუშან იაგუდინი, ანტონ რიაბოვი, ვასილი არტემევი, ანდრეი ოტროკოვი, ვლადიმირ რუდენკო, ევგენი კოლომიიცევი (კრასნი იარი), ალექსეი გოლკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, სეგეი სეკისოვი, ალექსეი პანასენკო, არტიომ ფატახოვი, მიხაილ ბაბაევი (ყველა ვვა), ანდრეი იგრეცოვი, დენის ანტონოვი (სლავა).

შედეგები

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პორტუ-ბაზელი 4:0
რეალი-შალკე 3:4

ინგლისი. ჩემპიონლიგა

რედინგი-ბრაიტონი 2:1

იტალია. სერია ბ

მოდენა-კატანია 0:0

შოტლანდია. თასი

ინვერნესი-რეითი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible]

მის.: მეტრო „დიდუბე", სამედ. ცენტრის შენობა, 1-ლი სართ., ოთ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38

ნუკა კვალიაშვილი დედობისთვის მეორედ ემზადება

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნუკა კვალიაშვილი დედობისთვის მეორედ ემზადება. ის პატარა ლუკას შემდეგ კიდევ ერთი პატარას დედა გახდება. ნუკა კვალიაშვილის და მისი მეუღლის ნიკა კობახიძის ლუკა 1 წლისაა.

ნუკა და ნიკა ბავშვობიდან იცნობენ ერთმანეთს, 8 წელი შეყვარებულები იყვნენ. ერთმანეთთანაც რჩებოდნენ და მოახერხეს კიდევ ბოლომდე ერთიმეორის გაცნობა. მათი აზრის, წყვილის თანაცხოვრებაში მნიშვნელოვანია, რომ მათ ერთმანეთს ბევრ რამეში დაუთმონ.

როგორც ნუკა ამბობს, სულ ახლახან გაიგო, რომ სამი კვირის ორსულია. ეკა კვალიაშვილის შვილი ამ მოულოდნელ სიახლეს დიდი სიხარულით შეხვდა და კიდევ ერთი პატარას მისაღებად მზად არის:

„აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვარ, იმედია, გოგო იქნება. ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი და არ ველოდი ამას, მარა ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს ცხოვრებაში, ერთი ის ვიცი, რომ ძალიან ძლიერი ადამიანი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ მაინც, რაც მომინდება.“

ახალგაზრდა წყვილი ნუკა კვალიაშვილი და ნიკა კობახიძე სამი წლის წინ დაქორწინდნენ. მათ თავისი პირველი შვილი ძიძის გარეშე გაზარდეს და არც ახლა აპირებენ დამხმარე ქალბატონის აყვანას. შვილის აღზრდაში ნუკას დედა ეხმარება, თუმცა ისიც ზედმეტად არ ერევა ლუკას და ნუკას ურთიერთობაში.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ამბობს, რომ მათ თანაცხოვრებაში განსაკუთრებულად არაფერი შეცვლილა, მათთან მეგობრები ისევ აქტიურად დადიან, უბრალოდ გვიანობამდე დარჩენას და გართობას ვეღარ ახერხებენ. როგორც წყვილი აცხადებს, თანაცხოვრებამ მათი ერთმანეთის უკეთ შეცნობა ასწავლა, შვილი ამაში ყველაზე მეტად დაეხმარა. მეორე შვილის დაბადება კი ამ ყველაფერს უფრო მაღალ ხარისხში აიყვანს.

ნიკა შეგუებულია იმას, რომ პოპულარული ცოლი ჰყავს და მის მიმართ ინტერესი ყოველთვის იქნება, ამიტომაც ნელ-ნელა იმასაც მიეჩვია, რომ მთავარი ნდობაა და ეჭვიანობა ყოვლად უსარგებლო იქნება.

„ცნობილი ადამიანის მეუღლეობა ძალიან რთულია, მაგრამ გააჩნია, ამას როგორ შეხედავ. მივიღე ის ფაქტი, რომ ნუკა უნდა იყოს მომღერალი. თავიდან უფრო ვეჭვიანობდი, რადგან არ ვიყავი მიჩვეული, ჩემი საყვარელი ადამიანის მიმართ ამხელა ყურადღებას რომ იჩენდნენ. შემდეგ უკვე გავაანალიზე და მივხვდი, რომ ეჭვიანობა არ ღირს, მაგრამ მაინც, სასიამოვნო არ არის, რა თქმა უნდა.“

ნუკა კვალიაშვილი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც სცენაზე აქტიურად გამოჩნდა. მან სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსებშიც მიიღო მონაწილეობა, „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალისტიც გახდა, მაგრამ მეორე ადგილზე გავიდა და გამარჯვებული ნინა სუბლატი გახდა. იმ პერიოდში ნუკა ჯერ კიდევ მამის გვარს ატარებდა და გვალია იყო. მოულოდნელად გოგონაც გამოაცხადა, რომ არ სურს იმ ადამიანის გვარს ატარებდეს, ვინც მისი არსებობით არც კი ინტერესდება და უნდა იმ ადამიანის გვარზე გადავიდეს, ვინც მას მთელი ცხოვრება მიუძღვნა. ნუკამ მამის გვარზე გვალიაზე უარი თქვა და დედის გვარზე კვალიაშვილზე გადავიდა.

ნუკას სჯერა, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ახლა მეორე შვილის მოლოდინშია, თუმცა მისი მომავალი სიმღერასთან და სცენასთან არის დაკავშირებული, ამიტომაც ის შემოქმედებითი კუთხით გაჩერებას არ აპირებს და ახალ მუსიკალურ პროექტზე მუშაობს, თუმცა ჯერჯერობით მისი დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

იუმორი

***

აჭარელს ეკითხებიან:

— რა განათლება გაქვს მიღებული?

— ორჯერ ვარ გურიაში ნამყოფი.

***

ქალის მოტაცებას გურული შეესწრება და მომტაცებელ კაცს ეუბნება:

— ძამა, მაი ქალი სიგარეტს რომ ეწევა. იცი?

— არა უშავს, დავხუჭავ თვალს.

— რომ სვამს, მაი თუ იცი?

— მაგაზეც დავხუჭავ თვალს.

— ორჯერ რომაა განათხოვარი, მაი თუ იცი?

— მიყვარს და მაგაზეც თვალს დავხუჭავ...

— შენ, ძამა, თუ გეძინება, წამოი ჩემთან და დაგაძინებ, მაგის გულობიზა ქალს რავა იტაცებ?!

***

საავადმყოფოში ექიმი პაციენტს ეუბნება:

— აბა, ჩემო კარგო, ნახვამდის, შენ მკურნალობა არ გჭირდება.

— მადლობა, ექიმო.

— არაფერს, მომიკითხე ბებია, ბაბუა, მისი ძმა...

— რას ამბობ, ექიმო, ეგენი ხომ ცოცხლები აღარ არიან?

— ჰოდა, აბა მე რას გეუბნები, მომიკითხე-მეთქი...

***

ქალი ტრაბახობს:

— ვის ჰყავს ჩემნაირი ქმარი? არავის, მთელი ქალები პირდაღებულები მისჩერებიან.

— ასეთი ტანადი და ლამაზია? — ეკითხება მეორე ქალი.

— არა.. კბილის ექიმია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქართველი მომღერლები ნიკუშა ნატროშვილის დასახმარებლად იმღერებენ

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მომღერლები 12 მარტს საღამოსთვის გაერთიანდებიან და სპორტის სასახლეში ერთობლივ კონცერტს ჩაატარებენ.

ხელოვანები 24 წლის ნიკუშა ნატროშვილის დასახმარებლად იმღერებენ, რომელსაც საზღვარგარეთ გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება და ამისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის შეგროვებაა საჭირო.

ნიკუშა, რომელმაც მეუღლე და სამი წლის ქალიშვილი ნიცა ჰყავს, 8 თვე ებრძვის სიკვდილს, მას 23 ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მისი მდგომარეობა თანდათან მაინც დამძიმდა. ყველა ცნობილი კლინიკა უარს ამბობდა მისთვის ოპერაციის ჩატარებაზე, მაგრამ სულ ახლახანს გამოჩნდა ერთ-ერთი წამყვანი კლინიკა ამერიკაში, რომელმაც თანხმობა განაცხადა ნიკას მიღებაზე და მისთვის ოპერაციის ჩატარებაზე, ამიტომაც ქართველმა მომღერლებმა გადაწყვიტეს, კიდევ ერთი სიცოცხლე გადაარჩინონ.

სპორტის სასახლეში გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ 33ა, გამოუვალი მდგომარეობა, ლაუდსპიკერსი, ლელა წურწუმია, ფრანი, მგზავრები, რობი კუხიანიძე (აუთსაიდერი), რეგიონი, ნიკოლშოუ, ჯგუფი ლენდი, დათო ხუჯაძე, ზურა ხაჩიძე, გიო ხუციშვილი და ბიჭები, ბაკურ ბურდული და სხვა ცნობილი მომღერლები. ისინი საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო სიმღერებს შეასრულებენ.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

ლელა წურწუმია:

— ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს, როცა ერთად დგომით ადამიანების სიცოცხლე გადავარჩინეთ, ამიტომაც ახლაც მოვუწოდებთ საზოგადოებას ჩვენს გვერდით დადგნენ და დავეხმაროთ ყველანი ერთად ნიკუშას, დავურეკოთ ნომერზე ან მივიდეთ სპორტის სასახლეში ნიკუშას მხარდასაჭერ კონცერტზე. მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის პრეცედენტი დიდი მაგალითია ნიკუშას მეგობრებისთვის და ისინი მაქსიმუმს აკეთებენ, რომ საჭირო თანხა უმოკლეს დროში შეგროვდეს.

გაგა ჩიხლაძე, ჯგუფი ფრანი:

— ასეთი მძიმე ისტორიები ძალიან მოქმედებდა ჩემზე. სამწუხაროდ, ბევრია ასეთი ისტორია, მაგრამ ნიკუშა მართლაც განსაკუთრებულია. ჩვენ არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ, გიორგი ყორღანაშვილი, დიტო ცინცაძე და კიდევ ბევრი სხვა. ასეთ მომენტში სულ ვფიქრობ ჩემთვის ყველაზე საყვარელ ადამიანზე, ეს რომ სჭირდეს ჩემს შვილს, ჩემს ძმას, ან ბიძაშვილს და რომ იყოს საჭირო ამისთვის მხოლოდ 10 ლარი. წარმოიდგინეთ, რომ 10 ლარი გადაგარჩენთ სულ ყველას. მოდით სპორტის სასახლეში, გეხვეწებით. ამაზე მაგარს ვერაფერს გავაკეთებთ, ვერც მაგარ საჭმელს შევჭამთ, ვერც ლუდს დავლევთ, ამაზე მაგარ კონცერტსაც ვერ მოვისმენთ და ამ მძიმე მარხვაში ამაზე მადლიან საქმესაც ვერ გავაკეთებთ. გევედრებით, გეხვეწებით ვიძმაკაცოთ ყველამ, ჩავთვალოთ, რომ აფხაზეთს ვიბრუნებთ ჩვენი ერთიანობით.

ზაზა ვეკუა: თბილისის მერიაში ისევ ნეპოტიზმია

საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის ზაზა ვეკუას განცხადებით, თბილისის მერიაში ნეპოტიზმის ფაქტები ისევ ფიქსირდება.

მისივე თქმით, მერიაში სრული განუკითხაობაა და სწორედ ამ მიზნით უნდა ჩატარებულიყო საკრებულოში რიგგარეშე სხდომა.

„დედაქალაქის მერიაში სრული აჯაფსანდალი და განუკითხაობაა. არავინ იცის ვინ სად მიდის, ვინ სად მოდის, რა ნიშნით ნიშნავენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე წარუმატებელ ადამიანებს. იმ ადამიანებს, ვინც კონკურსი ვერ გაიარა. ისევ ნაცნობობა და ნეპოტიზმია მერიაში. სწორედ ამიტომ გვინდოდა რიგგარეშე სხდომის ჩატარება, რომ ქალაქის მერი წარმდგარიყო საკრებულოს წინაშე“, — განაცხადა ვეკუამ.

ნიუსპრესი

დავით საყვარელიძე: ჩემი ქართველობა უკრაინელებმა მტკივნეულად მიიღეს“

უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის დავით საყვარელიძის განცხადებით, ის მზადაა იმ პრობლემებისთვის და გამოწვევებისთვის, რაც უკრაინაში, მის ეროვნებასთან დაკავშირებით წამოიჭრება.

თუმცა საყვარელიძე „112.უა“-სთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ის დარწმუნებულია, რომ მისი ქართველობა უკრაინელ ხალხს მანამდე დააბნევს, სანამ ის კონკრეტულ სამუშაოებს განახორციელებს და მათ სამუშაოს შედეგებს დაანახებს.

„ახლა ბევრი წუხს იმაზე, რომ თურმე ქართველები ძალიან ცუდები ვიყავით, რომ სისტემა არ უნდა შეცვლილიყო, რომ პროკურატურის სისტემაში ყველაფერი კარგად იყო, რომ უწყებაში კონკურსების გამართვა საჭირო არ იყო, რომ უკრაინელები კორუფციისთვის არ უნდა დასჯილიყვნენ, რომ საქართველოში ცუდი, დრაკონული კანონები მოქმედებდა. სინამდვილეში კი, მე წარმოვადგენ საქართველოს იმ პროკურატურას, რომელიც კორუფციისგან სრულიად გაიწმინდა, სისტემა დალაგდა და სტანდარტებიც ძალიან მაღალი იყო“, — განაცხადა დავით საყვარელიძემ.

როგორც საყვარელიძე აცხადებს, მისი უკრაინული პასპორტის მიუხედავად ის ქართველია და სწორედ ამიტომ მიიღეს უკრაინის მოქალაქეებმა მისი თანამდებობაზე დანიშვნა ასე მტკივნეულად.

„მე ქართველი ვარ და არა უკრაინელი, იმის მიუხედავად, რომ უკვე უკრაინის მოქალაქის პასპორტი მაქვს. ამიტომ უკრაინის მოქალაქეებმა ეს მტკივნეულად მიიღეს, მაგრამ მე უკრაინის მიმართ საკუთარი ვალდებულება მაქვს, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ რამეს უკეთესობისკენ შევცვლი, რადგან მე უკრაინის გარდა, მთელი საქართველო მიყურებს“, — განაცხადა დავით საყვარელიძემ.

დავით საყვარელიძე ასევე აცხადებს, რომ ის უკრაინული ენის სრულყოფილად სწავლას აპირებს.

ცოტა ხნის წინ უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ 300 პროკურორის გათავისუფლება, ე.წ. „უწყების გაწმენდა“ გადაწყვიტა, რასაც გარკვეული ჯგუფების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა.

საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, ექსდეპუტატი დავით საყვარელიძე უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილედ დაახლოებით 1 თვის წინ დაინიშნა.

ნიუსპრესი

hჰჯცეჯჰცბ ,

შვეულად: 1. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. მწყრის ბარტყი; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 15. ქალაქი ბულგარეთში, სადაც ტარდება იუმორის ფესტივალი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი.

თარაზულად: 5. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 6. ხურდა ფული ბრაზილიაში; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 13. ხეივნიანი, ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. სახელმწიფო შუა-აზიაში; 18. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 21. ნარკოტიკების წვრილმანი ვაჭარი აშშ-ში; 22. უბანი თბილისში; 23. ქალთა ჯგუფური ცეკვა კაბარეში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმეტ.ყტ,ეკბ hჰჯცეჯჰცლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყელი; 2. „აია“; 3. ჰამილტონი; 4. მარსი; 5. ჯანდაგი; 8. ბორი; 9. ჟერარდი; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. ალილო; 15. უწერა.

თარაზულად: 1. ყეენობა; 6. დაბახანა; 7. ლობიო; 10. სპიჩი; 11. ფრაყე; 13. „ასაჰი“; 14. კრუპი; 16. ნომი; 17. იპოთეკა; 18. „მწვანე“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1; დულცინეა; 2. ყალბი; 3. კვარიათი; 4. წალამი; 7. ოტიტი; 9. პროზა; 12. „კრაკოვიაკი“; 14. „ჩიხურა“; 15. სკუტერი; 17. კონფუცი; 20. აბული.

თარაზულად: 5. „მუკუზანი“; 6. ბავარია; 8. ლიბრეტო; 10. ტიტიკაკა; 11. ჰედერი; 13. სეინერი; 16. ჯანელიძე; 18. ჰობოი; 19. პუარო; 21. „იბერია“; 22. „არსენალი“; 23. ქურციკი.

fcnhjgjhjuyjpb 12 მარტისთვის

11 მარსი _ მშვენიერი დღეა

ვერძი — აგიმაღლდებათ განწყობა, სიხარულის განცდა არ გტოვებთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები**—ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი**—ყველაფერი ისეა, როგორც გეგმავდით. **ლომი**—ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ქალწული** — ფული გაქვთ, პრობლემა მოგვარდება. **სასწორი** — ყველაფერი კარგად არის და კარგ ხასიათზეც ხართ. **ღრიანკალი**—ცხოვრება გეცვლებათ, თავს მშვიდად გრძნობთ. **მშვილდოსანი**—დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თხის რქა**—მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა მალე შედგება. **თევზები** — ჰარმონიული დღე თქვენზე დადებითად იმოქმედებს.

უბცეჰეტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წელი შესრულდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მწერლის ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

ლიტერატურული მოღვაწეობა ლევან გოთუამ 36 წლის ასაკში დაიწყო. მისი შემოქმედება მთლიანად საქართველოს ისტორიას ეძღვნება, თუმცა გამორჩეულია რომანი „გმირთა ვარამი“. ეს ოთხნაწილიანი ისტორიული რომანი ლევან გოთუამ ვორკუტის საპატიმროში დაწერა. მასში ასახულია საქართველოს ყოფა XVI-XVII საუკუნეებში, როცა დაიწყო ფეოდალური სახელმწიფოს კრიზისი და დღის წესრიგში დადგა ახალი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. რომანში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთის სამეფოს ცხოვრება, მეფეთა ვარამი, უბრალო ხალხის ვარამი და გმირთა ვარამი — შედარებით უცნობი ისტორიული ფაქტები, ღალატი, სიყვარული, თბილი და ტკივილიანი იუმორით შეზავებული ამბები. ეს შესანიშნავი ეპოპეა ქართული ისტორიული რომანების პირველ ათეულში ნამდვილად დგას და დღემდე ინარჩუნებს მკითხველთა შორის პოპულარობას.

„კრწანისის სევდა“, „ხანძთის ზარი“, „უგზო ქარავანი“, „ლეკვი ლომისა“, „ნისლი ნახატარის ტყეში“, „ფიქრები თოკის კიბეზე“, „ფრესკის მეორე დაბადება“, „მეფე ერეკლე“, „უძლეველნი“, „დავით აღმაშენებელი“, „სამსახეობა რაინდისა“ — ეს ის ნაწარმოებებია, რომელიც შეიყვარა მკითხველმა და ბევრი მათგანი ქართული თეატრის სცენაზეც იდგმებოდა.

ცხოვრების 68 წლიდან მან 22 წელი ციხეში გაატარა. ის გასული საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. საბჭოთა რეჟიმის მიერ სამჯერ იქნა დაპატიმრებული.

წითელი არმიის შემოსვლის დროს, ის მოხალისედ წავიდა წითელი ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო უკან დააბრუნეს. 1924 წელს გოთუების ოჯახი „ჩეკისტებმა“ „მოინახულეს“ და ლევან გოთუა მამასთან, პართენ გოთუასთან ერთად დააპატიმრეს. 7-თვიანი პატიმრობის შემდეგ მამა-შვილი სრულიად მოულოდნელად გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მწერალი ისევ დააპატიმრეს. მისი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს 78-ფურცლიანი ანტისაბჭოთა მიწერ-მოწერა, რომელიც გაეგზავნა ლავრენტი ბერიას. მწერალი სოლოვეცკში გადაასახლეს და განსაკუთრებით მკაცრი ზედამხედველობა დაუწესეს. ერთი წლის შემდეგ ლევან გოთუა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მას პატიმრობა თავისუფალი გადასახლებით შეეცვალა, აეკრძალა 6 ცენტრალურ პუნქტსა და სასაზღვრო გუბერნიაში ცხოვრება. ოჯახმა ლევანს საცხოვრებლად ვლადიკავკაზი შეურჩია იმ იმედით, რომ სწავლას გააგრძელებდა. როგორც კი მწერალს გადასახლების ვადა ამოეწურა, მას ვადა კიდევ სამი წლით გაუზარდეს.

ლევან გოთუამ რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად, საბჭოთა ტერორისაგან გაქცევის მიზნით საზღვარგარეთ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. გაქცეულები მდინარე ჭოროხის გადაცურვისას დააკავეს და სამშობლოს მოღალატეებად და ჯაშუშებად მონათლეს.

მწერალს მიესაჯა სამი წლით ტუსაღობა საკონცენტრაციო ბანაკში. როცა ის ოჯახს დაუბრუნდა, ისევ აღრიცხვაზე აიყვანეს, პასპორტის გაცემასა და თბილისში ჩაწერაზე უარი უთხრეს და თბილისის დატოვების 24-საათიანი ვადა მისცეს. ამ პერიოდში მწერალი ცოტა ხანს წალკაში



ცხოვრობდა.

ლევან გოთუას განსაცდელი ამით არ დასრულებულა. ის კვლავ დააპატიმრეს, ბრალად სამშობლოს ღალატი წაუყენეს და ვორკუტის შრომა-გასწორებით ბანაკში 10 წლით გაამგზავრეს. ლევან გოთუას გადასახლება გაპროტესტებულ იქნა დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო და დღის წესრიგში მისი რეაბილიტაციის საკითხიც დადგა. პროტესტი გათვალისწინებულ იქნა და რეაბილიტირებული 55 წლის მწერალი სამშობლოში დაბრუნდა.

ცხოვრების ურთულეს წლებს მან ვაჟკაცურად გაუძლო, განსაკუთრებით გადასახლებაში, სამშობლოსგან შორს. პატიმარს ჩამორთმეული ჰქონდა წერის უფლება, მაგრამ ის მაინც წერდა, ფურცლებს მიწაში მალავდა და შემდეგ ეს ფურცლები ხის მორებში ჩამალული მალულად გამოჰქონდა.

მწერალი 68 წლის ასაკში გარდაიცვალა, მას ისტორიული რომანი „მითრიდატე“ დაუმთავრებელი დარჩა, რომელიც ეხება ქართველური ტომების ბრძოლას გაერთიანებისათვის I საუკუნეში. თავდაპირველად ის თავის საყვარელ არმაზში დაკრძალეს, მოგვიანებით კი მცხეთის სამთავროს ეზოში გადაასვენეს.

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ

საქართველოს ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ტექნოლოგიურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი

ნინო სიმონის ასული ჩეკურიშვილი

მისი სახით სტუდენტმა ახალგაზრდობამ დაკარგა საუკეთესო აღმზრდელი, კოლეგებმა — ბრწყინვალე მეგობარი, აკადემიამ კვალიფიციური სპეციალისტი. ქალბატონ ნინო ჩეკურიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. მისი თანაავტორობით გამოვიდა სახელმძღვანელოები: „ფინანსები“, „ტურიზმის ეკონომიკა“, „ტურიზმის მენეჯმენტი“, „საქართველოს ეკონომიკა“ და სხვ.

ქალბატონი ნინო ჩეკურიშვილის ღვაწლი დიდია საქართველოს ტექნოლოგიურ— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიაში, დაარსების დღიდან იგი გახლდათ მისი შეუცვლელი აკადემიკოს-მდივანი, 2001 წლიდან სიკვდილამდე. ის აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, გაზეთ „ლილეს“ ყოველი ნომრის გამოშვებაში. აგრეთვე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი ყოველთვის იყო პროგრესული იდეების მხარდამჭერი.

სიცოცხლის ბოლო დღეები ნინომ მშობლიურ სოფელ შაშიანში გაატარა, სადაც მას თავს ევლებოდნენ ახლობლები, განსაკუთრებით მისი უფროსი და კატო.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი პიროვნება, უკეთილშობილესი მეგობარი, ახალგაზრდობის კვალიფიციური აღმზრდელი, სოფლისა და რაიონის ცხოვრების აქტიური მონაწილე.

ქალბატონი ნინო ჩეკურიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების, მისი აღზრდილი ახალგაზრდობის, ახლობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს ტექნოლოგიურ–ჰუმანიტარული მეცნიერებათა აკადემიის წევრები:

გრიგოლ ჯანხოთელი, ლელი ჭანტურია, ლილი წულაძე, ირინე ღლონტი, პეტრე დუნდუა, ჯუმბერ ცერცვაძე, ვახტანგ ინაური, თინა ონიანი, ნანა ბროძელი, ბელა კვანტალიანი, ნინო კირვალიძე, ციური მჭედლიშვილი, ნორა გუჯეჯიანი, ნონა კუპრეიშვილი, ცისანა შილაკაძე და სხვები

შვილები მადონა, მაია, ზურიკო, ლერი, სიძე ავთო ნავერიანი, შვილიშვილები დათო, მარიამი, და თალიკო, რძალი ლამარა, ძმა გურგენ თოლორაიები, მული ქეთევან მაშავა, ილია ჭანტურია, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნუნუ უშანგის ასულ თოლორაია-მაშავას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 14 მარტს, სენაკში — მენჯში.

სოსო ნაყოფია ოჯახით თანაუგრძნობს გურგენ თოლორაიას ოჯახს დის

ნუნუ თოლორაია-მაშავას

გარდაცვალების გამო.

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ ჯბჩქ,ფ .ჯდჩქლქჩ7 რდბბცუფჯლფ7!@–ლფყ!&ცფფლფლჩგ

ერეკლე დეისაძე: ნაბიჭვრებო!“

ეკა ირემაშვილი

მნეხალი და მუსიკოსი ერეკლე დეისაძე ქართულ ჩეალობაში არსებულ ვითარებას ეხმიანება და მშობლიურ ქუთაისში არსებულ ვითარებას აღწერს:

„ალბათ ყველას ახსოვს „დროებაში“ გასული სიუჟეტი ქუთაისის საცურაო აუზის შესახებ, სადაც ბავშვებს ცურვას უწყლოდ ასწავლიდნენ. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და ვგრძნობ, რომ ეს ჩემი უპირატესობაა — იცურო უწყლოდ ადვილი არ არის. მე კი დღემდე ვახერხებ ამას და ჩემი წარმოსახვის მრავალფეროვნებაც ხსენებული აუზიდან იღებს სათავეს. ალბათ ამის გამოა, ჩემთვის ზღვა საცქერლად უფრო მიმზიდველი რომ არის, ვიდრე საცურაოდ. მე ხომ ცურვაზე და მის ტექნიკაზე სხვებისაგან განსხვავებული შეხედულებები მაქვს.

ცურვაში დაოსტატების შემდეგ, კალათბურთმა მიმიზიდა. ეს სპორტი ჩემი ბავშვობის განუყოფელ ნაწილად იქცა. სიმაღლე ხელს უფრო მიწყობდა, ვიდრე პირიქით. ამიტომ გადავწყვიტე, ბედი კალათბურთშიც მეცადა. ტრენერი უცნაური კაცი იყო. მაღალი, თეთრთმიანი ბიძა, რომელსაც თუ მიუახლოვდებოდი, არყის სუნი გცემდა. თუმცა ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ის არ სვამდა და, რომ, ზოგადად, სმა ცუდი საქციელი იყო. მხოლოდ ვარჯიში და დისციპლინა გვიხსნის ეროვნული გამოთაყვანებისგანო, — ამბობდა.

სამ თვეში კარგი შედეგი მქონდა. სპორტშიც მაქსიმალიზმი მიზიდავდა და სამქულიანებს ოსტატურად ვისვროდი. ჩვენი სპორტდარბაზი ორსართულიანი იყო, გასახდელში მუდმივად ოფლის სუნი იდგა. თუ კარგი ყნოსვა გქონდა, თაობის ენერგიას სუნითაც იგრძნობდი. გუნდელებთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა — ჩვეულებრივი, ქუჩიდან მოსული ბიჭები იყვნენ; ზოგი ლომკას აგდებდა, ზოგსაც ამერიკა და მისი კარიერა ერთად ესიზმრებოდა.

ერთადერთი ვიყავი, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ სპორტი მისი გზა არ იყო, უბრალოდ მან უწყლოდ ცურვა ისწავლა და ცდილობდა, კალათბურთიც ცურვის ნაწილად ექცია.

საზაფხულო არდადეგები სპორტისგან დასვენებასაც გულისხმობდა. აგვისტოს ბოლო იდგა. ზღვიდან ახალდაბრუნებულმა ქალაქში სეირნობის დროს გეზი სპორტდარბაზისკენ ავიღე. ჯიბეში სახლიდან მოპარული ხურდებით ნაყიდი კენტი მედო და დრო სიარულში გამყავდა. ორ კვირაში ვარჯიში მეწყებოდა. როცა სპორტდარბაზს მივუახლოვდი, სხვა სურათი დამხვდა. გაურკვეველი კატეგორიის ხალხი ერთმანეთში ირეოდა, მანქანებიც იქვე გაეჩერებინათ, ძირითადად შავები ეცვათ. გადაღლილი და ოფლიანი სახეები ჰქონდათ და დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ.

„იმედია თამაშს არ აპირებენ“, — გავიფიქრე. ცნობისმოყვარეობამ გადამაწყვეტინა შევყოლოდი. თავიდან ყველამ გაკვირვებით შემომხედა. არ შევიმჩნიე და ერთ-ერთ ჯგუფს შევუერთდი. დარბაზშიც სხვა სუნი დამხვდა — ქალების უმეტესობას იაფფასიანი სუნამოები ეპკურა.

ნეტავ მხოლოდ სუნი დამხვედროდა შეცვლილი! შუაგულში ვიწრო მაგიდები ორ მწკრივად გაეშალათ, სკამების მაგივრობას გაზეთგადაფარებული ფიცრები სწევდა, რომელზეც სხვადასხვა ზომის ტრ..ები ჩაემწკრივებინათ.

არასოდეს დამავიწყდება მათი ზურგები, ჩემი ბრძოლის ველზე. ნაბიჭვრებო, მე კალათბურთელი უნდა გამოვსულიყავი! მერე რა, რომ ჩუმად სიგარეტს ვეწეოდი! სამაგიეროდ, თქვენი მიცვალებულის შავ-თეთრი ფოტოს ადგილი, საიდანაც მოხუცი ბებო იყურებოდა, კალათბურთის ფარზე ნამდვილად არ იყო.

მით უმეტეს, ორივე ფარზე.

ბევრჯერ მიფიქრია იმ სპორტდარბაზის მეპატრონეზე, რომელმაც შენობა ჯერ საკალათბურთო დარბაზად გადააკეთა, გაურკვეველი წარმომავლობის მაღალი კაცი ტრენერად დანიშნა და ზაფხულობით, დაბალ ფასში, სარიტუალო დარბაზის ფუნქციაც შეუთავსა. მაშინ პირველად მივხვდი, რომ ბიზნესს არასდროს სძინავს.

ჩემს შემთხვევაში საზაფხულო არდადეგები, ყველაფერს გამჭვირვალეს ხდიდა. ამ დროს მთელი წლის მანძილზე მიღებული შთაბეჭდილებების რეალურ გადაფასებას ვახდენდი. იმ ზაფხულს მივხვდი, რომ ჩემი სპორტი კონკრეტულ მოვლენებზე დაკვირვება და ანალიზი იყო. ამ თვისებაში ერთი ვინმე ძალიან მგავს. განსხვავება მხოლოდ ანალიზის ხარისხშია.

ჯერ გაზაფხულია, ზაფხულამდე კი საკმარისი დროა, სწორად ვიცხოვროთ.“

მარიკო ებრალიძე და როლანდ ოქროპირიძე „ორ ვარსკვლავს“ გამოეთიშნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აღმოჩნდნენ. პირველად მათ თვალებიდა და ლევან მახნიძელაშვილთან ერთად მოუწიათ აუთსაიდერთა რიგებში დგომა, თუმცა მაშინ მაყურებელმა იყოჩაღა და წყვილი პროექტში დატოვა. ამჯერად მარიკო და როლანდი მაყურებელმა ვეღარ გადაარჩინა და პროექტს ეკას და მერაბის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც პროექტის ხელმძღვანელებმა შემდეგ მარიკო ნაცნობიმ განაცხადა, მას 39,5 ჰქონდა სიცხე, ამიტომაც კარგად ვერ იმღერა და თავის გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა:

„მინდა ყველას ბოდიში მოვიხადო. ძალიან ცუდად ვიყავი და ყველაფერი დამავიწყდა. 39,5 ჰქონდა სიცხე. ვეცდები შემდეგ ტურში გამოვასწორო. მინდა ჩემს მეწყვილეს ეკა დოლიძეს უხადო ბოდიში, სამწუხაროდ გამოვლობა გუშინა“.

მომავალ სამშაბათს „ორი ვარსკვლავის“ მორიგ საკონკურსო ტურში 8 წყვილი მონაწილეობა დაიწყებიან.

TV პროგრამა

ხუთშაბათი 12 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** 14.20 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო"** 17.00 "კომუნიკატორი" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"სამეფო"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მესამეხანა" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.35 ქრონიკა 10.05 სერ. **"უდანაშაულო"** 11.20 სერ. **"ივნისის ღამე"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ღალატი"** 17.35 სერ. **"ქალის ხვედრი"** 18.45, 19.03 სერ. **"დაკარგული"** 20.55 სერ. **"შურისძიება"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ **"პატარა ქალაქის საიდუმლო"** (კ.ეგელსფილდი) 01.55 მხ/ფ **"მომაკვდინებელი სიცხე"**

06.00, 16.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 23.55 ბეთის გათამაშება 20 წთ. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" 07.30 საქართველოს ქალაქები 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 "ივერიის ეკლესია" 11.00 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"მალე გაზაფხული მოვა"** 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 ერთი წვეთი 15.20 ქრისტიანული სწავლება X გად. 15.35 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.05 კონცერტი - სულიერება და მუსიკა 17.30 დ/ფ "წიგნი უპირველესი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.20 მოკ/ფ **"შნო"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" 22.25 დ/ფ "სამი პატრიარქი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები (ქართულ ებრაული ურთიერთობები) I გად 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"ზოროს ნიღაბი"** 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, 1.00 **სერიალი "უცანაცნობი გაზაფხული"** 12.30, 13.05, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "სხვისი სახელი"** 15.35 გადაცემა "პულსი" 16.05, 17.05 **სერიალი "არქაული სიყვარული"** 19.00 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 20.05 **სერიალი "შავი ფური და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრაინი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 0.00 დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

გჰკუმფჩ.ბ ბ.ჩფლ.ფ ცფფჩუქნჯ ვბყკჯფდჩბფ4 ყჩ.ფჩხდნ

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 მარტი

- აშშ დოლარი — 2.1741
- ევრო — 2.3695
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2868
- 100 რუსული რუბლი — 3.5734

ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის

კალეიდოსკოპი

ბრიტანელებს წიწილების სქესის დადგენა უჭირთ

ბრიტანეთის მეფრინველეობის საბჭომ განაცხადა, რომ არ ყოფნის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად და ზუსტად დაადგინონ წიწილების სქესი.

საკადრო დეფიციტი ქვეყანაში იმის მიუხედავად წარმოიშვა, რომ ასეთი სამუშაო საკმაოდ მაღალანაზღაურებადია: ამ პროფილის ექსპერტები წელიწადში დაახლოებით 40 ათას ფუნტ სტერლინგს გამოიმუშავებენ (61 ათას დოლარზე მეტს).

მეფრინველეობის საბჭოს ხელმძღვანელმა ენდრიუ ლარჯმა ივარაუდა, რომ ამ სპეციალობის არაპოპულარულობა სამუშაოს არსითაა განპირობებული.

— აუცილებელია, რომ ყოველ საათს წიწილებს იყო მიჩერებული, — განმარტა მან. ლარჯმა ასევე აღნიშნა, რომ ფრინველებში თავდაპირველი სქესობრივი ნიშნების გამორჩევა იმის გასარკვევად, თუ რომელია მამრობითი, ხოლო რომელი მდედრობითი სქესის, ძალიან რთულია და სწორედ ეს აქცევს ამ სამსახურს შრომატევად სამუშაოდ.

ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ ამ სამუშაოს შესრულებას სწრაფი ტემპი და მაღალი ეფექტურობა სჭირდება: ერთ საათში ათასამდე წიწილას დათვალიერებაა საჭირო და ამავე დროს აუცილებელია, რომ მათი გენდერული კუთვნილება 98 პროცენტიანი სიზუსტით იქნას დადგენილი.

— იმისთვის, რათა ვინმეს ვასწავლოთ წიწილის სქესის სწორად გარკვევა, სამი წელია საჭირო, — ხაზგასმით აღნიშნა ლარჯმა. მან ასევე მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ბრიტანეთში ამ სამუშაოს დაცინვით ეკიდებიან და აზიის მაგალითი მოიყვანა, სადაც ეს პროფესია პრესტიჟულად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ ამ პროფილის კვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობა ბრიტანეთში მეფრინველეობის ინდუსტრიას ძლიერი დარტყმის ქვეშ დააყენებს.

ტაილანდში სპილოს მეხუთედ შეუცვალეს პროთეზი

დედალ სპილოს, სახელად მოშას, რომელიც 2006 წელს ნაღმზე აფეთქდა და ერთი ფეხი დაკარგა, პროთეზი გაუკეთეს. ფეხის დაკარგვის მომენტიდან ცხოველმა უკვე მეხუთე პროთეზი შეიცვალა. მოშეს, რომელიც ტაილანდის ეროვნულ ნაკრძალ ლამპანგში ბინადრობს, პროთეზებს იმის გამო უცვლიან, რომ ის სწრაფად იზრდება.

მას შემდეგ, რაც ცხოველი ნაღმზე აფეთქდა, მას ოპერაცია გაუკეთდა, რომლის წყალობითაც სისხლდენა შეუჩერდა და სიკვდილს გადაურჩა. მოშეს დახმარება ეროვნულ ნაკრძალში აღმოუჩინეს, სადაც 1993 წლიდან ფუნქციონირებს სპეციალური საავადმყოფო სპილოებისთვის. სპილოსთვის დამზადებული ყველა პროთეზი, მათ შორის ბოლოც, საავადმყოფოს სპეციალისტებმა დაამზადეს.

სავარაუდოდ, ახალი პროთეზი სპილოსთვის სამუდამო იქნება, ვინაიდან 9 წლის მოშემ ზრდა პრაქტიკულად შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ პროთეზი პლასტმასის, ლითონისა და ნახერხისგანაა დამზადებული. სპეციალისტებმა სპილოსთვის პროთეზის მიმაგრება სპეციალური სამაგრების დახმარებით მოახერხეს. იმისთვის, რათა პროთეზის დახმარებით გადაადგილება მოეხერხებინა, სპილოს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა.

სპილოებისთვის განკუთვნილ საავადმყოფოში 22 წლის მანძილზე 3,9 ათასამდე დაავადებულ და დაჭრილ სპილოს უმკურნალეს. აქ ცხოველებს მკურნალობდნენ, ძვლების მოტეხილობაზე, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობებზე, თვალის ინფექციასა და ნარკოდამოკიდებულებაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შალკეს მწარე ხუმრობამდე ცოტა დააკლდა

რეალი – შალკე 3:4

0:1 ფუხსი (20), 1:1 რონალდუ (25), 1:2 ჰუნტელაარი (40), 2:2 რონალდუ (45), 3:2 ბენზემა (53), 3:3 სანე (57), 3:4 ჰუნტელაარი (84)

რეალი: კასილიასი, არბელოა (ნაჩო 83), პეპე, ვარანი, კოენტრაუ (მარსელო 58), ხედირა (მოდრიჩი 58), კროოსი, ისკო, ბეილი, ბენზემა, რონალდუ

შალკე: ველენროიტერი, ჰიოვედესი, მატიპი, ნასტასიჩი, ფუხსი, მაიერი, ნოიშტადტერი, ჰიოგერი (გორეცკა 57), ბარნეტა (უჩიდა 81), ჩუპო-მოტინგი (სანე 29), ჰუნტელაარი

ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამ წყვილში მოვლენები ასე განვითარდებოდა. მეტოქისგან განსხვავებით, „ხუმარები“ სრული სერიოზულობით მიუდგნენ საპასუხო მატჩს და სკეპტიკოსებს დაუმტკიცეს, რომ თანამედროვე ფეხბურთში მათაც შეუძლიათ სიტყვის თქმა. ამის უფლებაც აქვთ — გერმანულ კლუბს ძალიან ცოტა დააკლდა სუპერსენსაციამდე, მაგრამ მაინც თავაწეულებმა დატოვეს „სანტიაგო ბერნაბეუ“ და ჩემპიონთა ლიგა.

რობერტო დი მატეოს შეგირდებმა მოიგეს — ეს უკვე სიურპრიზი იყო, მაგრამ შინ ორბურთიანი სხვაობით ჰქონდათ წაგებული და მადრიდული გამარჯვება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა, იბრძოლეს, იომეს, ყველაფერი გააკეთეს მიზნის მისაღწევად.

„სამეფო კლუბი“ კი შერცხვენილი იდგა, შემდეგ ეტაპზე გასვლის სიხარულიც კი არ ეტყობოდა გუნდს. სანტიაგო ბერნაბეუ“ სტვენით აცილებდა გუნდს, აქა-იქ თეთრი ცხვირსახოცებიც გამოჩნდა, რაც ესპანეთში მწვრთნელის გაშვების მოთხოვნას უკავშირდება — მადრიდულ კლუბში ამ ეტაპზე ყველაფერი რიგზე ვერ არის.

„შალკემ“ ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა, როდესაც კასილიასმა ფუხსის დარტყმის შემდეგ არადამაჯერებლად ითამაშა. ეს არ იყო კასილიასის პირველი ლაფსუსი ამ მატჩში, მაგრამ მისი შეცდომების გამოსწორებას კრიშტიანუ რონალდუ ახერხებდა.

პორტუგალიელმა მალევე გაათანაბრა — 25-ე წუთზე, კროოსმა ბურთი კუთხურიდან მოაწოდა და რონალდუმ, თავური დარტყმით, ევროტურნირებზე თავისი 77-ე გოლი გაიტანა. პორტუგალიელმა ლიონელ მესისა და რაულ გონსალესს გადაასწრო და ევროტურნირების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

პირველი ტაიმის ბოლოს „შალკე“ წინ კიდევ ერთხელ გავიდა. კასილიასმა მაიერის დარტყმა კარგად ვერ მოიგერია და „რეალის“ ყოფილ თავდამსხმელს, ჰუნტელაარს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

რონალდუ ისევ 5 წუთი ათანაბრებს ანგარიშს — ისევ ზუსტი თავური, ამჯერად კოენტრაუს ჩაწოდების შემდეგ.

მე-2 ტაიმის დასაწყისში ქარიმ ბენზემამ „შალკეს“ დაცვაში გაინავარდა და „რეალი“ წინ გაიყვანა. თითქოს ყველაფერი გადაწყდა — „შალკეს“ უკვე 3 გოლის გატანა სჭირდებოდა.

57-ე წუთზე, შეცვლაზე შესულმა ლეროი სანემ, რომელიც ჩემპიონთა ლი-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მარიკო ებრალიძე და როლანდ ოქროპირიძე „ორ ვარსკვლავს“ გამოეთიშნენ

მუსიკალური შოუს „ორი ვარსკვლავი“ მეხუთე საკონკურსო ტური წარუმატებელი მარიკო ებრალიძის და როლანდ ოქროპირიძისთვის აღმოჩნდა. კინომუსიკის ტურში ყველაზე დაბალი ქულები და ნაკლები ესემესები სწორედ ამ წყვილმა მიიღო.

ჟიურის მეოთხე მიწვეული სტუმარი კინომსახიობთა თეატრის მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე იყო. მან ნინი ცნობილაძის და მირიან ჯეჯელავას მიერ პროექტის დატოვებაზე ისაუბრა და განმარტა, რომ არის ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევები, როცა დამარცხება გამარჯვებას უდრის და პირიქით. ნინის და მირიანის შემთხვევაში კი მოხდა ისე, რომ მათ გამარჯვებულებმა დატოვეს პროექტი.

ჟიურის და მაყურებელთა ესემესების დაჯამებით, ყველაზე მაღალი 38 ქულა მაგდა ვასაძემ და პეჩომ დააგროვეს, ყველაზე დაბალი 31 ქულა კი მერაბ სანოძემ და ეკა დოლიძემ. წინა ტურისგან განსხვავებით, ამ ტურში ადგილი არ ჰქონია ვეტოს მოთხოვნას, ან პროექტში კონკურსანტთა შორის აუთსაიდერების უსამართლო დასახელებას. ჟიურის წევრებმა პირობა დადეს, რომ ვეტოს აღარ მოითხოვდნენ და მაყურებლის გადაწყვეტილებას პატივისცემით და გაგებით მოეკიდებოდნენ. ჟიურიმ ისიც აღიარა, რომ კინოტური ძალიან მოეწონა, თუმცა მაინც დაბალი ქულები დაწერა.

როგორც პროექტის წამყვანებმა მაკა ზამბახიძემ და დუტა სხირტლაძემ განაცხადეს, შოუ ნელ-ნელა იძაბება, გადამწყვეტ ფაზაში შედის და პროექტში სულ უფრო და უფრო ცოტა მონაწილეები რჩებიან, ამიტომაც მათ გულშემატკივრებს მაქსიმალური გააქტიურება მართებთ.

მარიკოსა და როლანდთან ერთად აუთსაიდერი გახდა მერაბ სანოძის და ეკა დოლიძის წყვილი. ორივე წყვილმა დასახელებამდე დაიკავა აუთსაიდერებისთვის განკუთვნილი ადგილი და არც შეცდა — მაყურებელმა და ჟიურიმ ნამდვილად ეს ორი წყვილი მიიჩნია ყველაზე სუსტებად.

ბოლო ერთწუთიანმა ესემესების მიღებამ საბოლოო შედეგი გამოავლინა

— მარიკო და როლანდი „ორ ვარსკვლავს“ გამოეთიშნენ, მერაბს და ეკას კი მაყურებელმა კიდევ ერთი შანსი მისცა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მარიკო და როლანდი აუთსაიდერებში

გაგრძელება მე-11 გვერდზე

45 ლარად! წვერსაპარსი PHILIPS+ საჩუქარი ტრიმერი 50% ფასდაკლებით

წვერსაპარსი PHILIPS

- ტიპი: წვერსაპარსი;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- ბაკების გასასწორებელი;
- მოყვება დამტენი
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებენ თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- დატენვის ინდიკატორი;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

მზის სანათი — 40 ლარად

შეთავაზების აღწერილობა:

— მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;

— აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;

— აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი.შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა,მობლური,აიპოდი და სხვა

შეიძინეთ სმენის აპარატი 45 ლარად 100 ლარის ნაცვლად

1. ხმის გაძლიერება 50 ДБ.
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც. რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 — 10ც. ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.

MADE IN GERMANY

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ტელ: 2-182-186
მის: ვაჟა-ფშაველას№79

კროსვორდი

შვეულად: 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი, უქოჩრო თუთიყუში; 3. სიბერით გამოწვეული დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ კომპოზიტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.



თარაზულად: 1. სოფოკლეს ტრაგედია; 6. სპორტის სათამაშო, ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობი შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ისტორიული ციხე-ქალაქი ბათუმის მახლობლად; 14. საშემოდგომო ჯიშის ხორბლის ქართული ჯიში; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. ეგვიპტელი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა